ვერსია

№35 (1577) 29 სექტემბერი 5 ოქტომბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„ეს ღირსების ბრძოლა იყო!“ – ზაირა მიქატაძის მოგონებები აფხაზეთის ომზე

„აფხაზები სიმამაცეს გამოიჩენენ და აღიარებენ, რომ ერთადერთი გზა ქართველებთან თანაცხოვრებაა!“

რეალური მიზეზი, რის გამოც ნამახვანჰესი აღარ აშენდება

დავით მირცხულავა: „ჩვენს ენერგოდამოუკიდებლობას სერიოზული მოწინააღმდეგეები მხოლოდ ქვეყნის შიგნით არა, ქვეყნის გარეთაც ჰყავს“

ვახტანგ ძაბირაძე: „საქმე სხვა თამაშთან გვაქვს“

რატომ ვერ მოსთხოვს დასავლეთი ხელისუფლებას პასუხს სააკაშვილის დაკავებაზე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

მიშას „ფეიკი“ თუ რეალური ბილეთი



FABRIKA TURISMA
79/1, KANATNAYA STR.
ODESSA
UKRAINE
TELEPHONE: 0482 320 320
FAX: 0482 320 328

BOOKING REF: PDZ897
DATE: 27 SEPTEMBER 2021

ALASANIA/GIULI MRS
SAAKASHVILI/MIKHEIL MR

FLIGHT PS 511 - UIA SAT 02 OCTOBER 2021

DEPARTURE: KYIV, UA (BORYSPIL INTL), TERMINAL D - INTERNATIONAL/DOMESTIC 02 OCT 19:20
ARRIVAL: TBILISI, GE (INTERNATIONAL) 02 OCT 23:05
FLIGHT BOOKING REF: PS/PDZ897
RESERVATION CONFIRMED, ECONOMY (N) DURATION: 02:45

BAGGAGE ALLOWANCE: 2PC
SEAT: 04E CONFIRMED FOR ALASANIA/GIULI MRS
SEAT: 04F CONFIRMED FOR SAAKASHVILI/MIKHEIL MR
MEAL: FOOD FOR PURCHASE

NON STOP KYIV TO TBILISI
EQUIPMENT: BOEING 737 ALL SERIES PASSENGER

FLIGHT(S) CALCULATED AVERAGE CO2 EMISSIONS IS 130.22 KG/PERSON
SOURCE: ICAO CARBON EMISSIONS CALCULATOR
http://www.icao.int/environmental-protection/CarbonOffset/Pages/default.aspx

FLIGHT TICKET(S)

TICKET: PS/ETKT 566 2407196036 FOR ALASANIA/GIULI MRS
TICKET: PS/ETKT 566 2407196037 FOR SAAKASHVILI/MIKHEIL MR

რა მოხდება 2 ოქტომბრის საღამოს – ექსკლუზიური ვერსიები

კახეთის პოლიციამ ღვინის ქარხნებში ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, კახეთის საოლქო პროკურატურასთან ერთად ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებების შედეგად, თაღლითობის ბრალდებით დააკავეს ორგანიზებული ჯგუფის წევრები, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი ოთხი პირი: 1978 წელს დაბადებული მ.ც., 1990 წელს დაბადებული ი.ა., 1960 წელს დაბადებული ნ.ბ., 1974 წელს დაბადებული გ.ც., 1975 წელს დაბადებული ზ.ც. და 1976 წელს დაბადებული კ.პ. კი პასუხისგებაში მისცეს.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა – გ.ც.-მ და მ.ც.-მ დანაშაულებრივი ჯგუფი ჩამოაყალიბეს და სხვა ბრალდებულებთან ერთად, ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარე ღვინის ქარხნებში, ყურძნის მიღების დროს, ელექტროსასწორებზე განხორციელებული ხელოვნური მანიპულაციის შედეგად, დიდი ოდენობით თანხებს უკანონოდ ეუფლებოდნენ.

ბრალდებულებმა სექტემბერში, ერთ-ერთ ღვინის ქარხანაში არსებულ მაღალი ტონაჟის სასწორზე ფარულად დაამონტაჟეს დისტანციური წესით სამართავი მოწყობილობა და დისტანციური მართვის პულტების საშუალებით ახდენდნენ მათ მიერვე მოძიებული, ყურძნით დატვირთული ავტომანქანების წონის ხელოვნურად გაზრდას.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, ასევე, ღვინის ქარხნის დათვალიერებისას, კუსტარულად დამზადებული, წონის მომატებისთვის საჭირო აპარატურა, სამართავი პულტი, აგრეთვე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 4 630 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

პოლიციამ ქურდობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ლ.ჩ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 1977 წელს დაბადებული დ.ქ.-ს კუთვნილი ავტომობილის უკანა მინა ჩაამსხვრია, სხვადასხვა ძვირადღირებული ნივთი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

პოლიციამ თბილისში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ხუთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს და ძველი თბილისის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და გასაღების ბრალდებით, სხვადასხვა დროს, თბილისში ხუთი პირი დააკავეს.

დანაშაულები 3-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ე.გ. თბილისში დააკავეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკისას, „ჩეზეს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 10 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ასევე, დაკავებულია 1982 წელს დაბადებული დ.დ., რომელიც ცეცხლსასროლ იარაღებს ყიდულობდა, იფორმებდა თავის სახელზე, შემდეგ იარაღის საიდენტიფიკაციო ნომერს შლიდა და სხვადასხვა პირებზე მის მართლსაწინააღმდეგო რეალიზაციას ახდენდა.

პოლიციამ, დაკავებული დ.დ.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, სხვადასხვა ტიპის 8 ცეცხლსასროლი იარაღი, 3 სანადირო თოფი, 8 მჭიდი, 5 636 სხვადასხვა კალიბრის საბრძოლო ვაზნა და მის სახელზე გაცემული იარაღის 72 სარეგისტრაციო მოწმობა ამოიღო.

სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით კიდევ ერთი პირი დააკავეს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1978 წელს დაბადებული დ.ბ.-ის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, გადაჭრილი სანადირო თოფი – ე.წ. „აბრეზი“, „ბრაუნინგის“ ტიპის პისტოლეტი, 9 ვაზნა და 1 მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ, 1992 წელს დაბადებულ, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ ნ.დ.-ს და 1981 წელს დაბადებულ გ.ჟ.-ს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში ედებათ.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, „A.T.C MOD 5“-ის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 5 საბრძოლო ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს.

ქვემო ქართლის პოლიციამ მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ოთხი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, ოთხი პირი: 1995 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ფ.ო., 1998 წელს დაბადებული ი.ი., 1985 წელს დაბადებული შ.ჰ. და 1975 წელს დაბადებული ფ.მ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში მცხოვრები მოქალაქის, 1950 წელს დაბადებული მ.ბ.-ის საცხოვრებელ სახლში, ყაჩაღობის მიზნით, უკანონოდ შეაღწიეს.

თავდამსხმელებმა ქალი გაკოჭეს, დანის გამოყენების მუქარით უკანონოდ დაეუფლნენ სახლში არსებულ 1000 ლარზე მეტ თანხას, 3000 ლარამდე ღირებულების ოქროს სამკაულებსა და სხვა ძვირფასეულობას, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ოთხივე ბრალდებული დააკავეს.

პოლიციამ ყაჩაღობის გზით დაუფლებული სამკაულების ნაწილი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ბ.ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა 1959 წელს დაბადებულ კ.ჩ.– ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მიშას „ფეიკი“ თუ რეალური ბილეთი

ნინო დოლიძე

აი, ასე, ხელთათმანი ნასროლია. უფრო სწორად, ხელთათმანი კი არა, ბილეთია ნასროლი ანუ 27 სექტემბერს (სხვათა შორის, 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა), ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მორიგი ვიდეომიმართვა გაავრცელა და სოციალურ ქსელში კიევი-თბილისის რეისის ბოლეთიც გამოფინა იმის დასტურად, რომ ამჯერად აღარ იცრუებს და სამშობლოში ნამდვილად დაბრუნდება. მიშას ფანებმა ჟივილ-ხივილი ატეხეს, აი, ხომ ვამბობდით, მიშა სიტყვის პატრონიაო, მაგრამ თუ კარგად გავაანალიზებთ, ტაშ-ფანდურის მოსაწყობად არცთუ მყარი არგუმენტები არსებობს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბილეთი, უფრო კონკრეტულად, ბილეთის ჯავშანი იმის მტკიცებულება ნამდვილად არ არის, რომ სააკაშვილი 2 ოქტომბერს, 23:00 საათის შემდეგ, ნამდვილად თბილისში იქნება.



რა მოხდება 2 ოქტომბრის საღამოს – ექსკლუზიური ვერსიები

დიახ, ჯავშნის გაკეთება ნებისმიერ მოქალაქეს, მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით შეუძლია, მაგრამ როცა ადამიანი ჩვიდმეტჯერ იტყვის, ჩამოვდივარო და არ ჩამოვა, ვინმემ რატომ უნდა დაიჯეროს, რომ მეთვრამეტედ აუცილებლად ჩამოვა?

ამასაც თავი რომ დავანებოთ, არის თუ არა სააკაშვილი ის პოლიტიკოსი, ვინც საპატიმროსთვის მზადაა? ზოგადად, ციხეში თავის ამოყოფა ყველაზე საშიშ კრიმინალსაც არ უნდა. ამასთან, ადამიანები გამიზნულ გმირობაზე იშვიათად მიდიან ანუ გმირობა, როგორც წესი, შემთხვევითობასთან ასოცირდება. სააკაშვილი კი გმირი 2003 წლის ნოემბერშიც არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, როგორც მაშინ და შემდეგაც, კულუარებში ამბობდნენ, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და შესაბამისად, მიშაც ვა-ბანკზე ამიტომ წავიდა – პარლამენტში შევარდა და ცხონებულ შევარდნაძეს ჩაი დაულია.

რა ხდება ახლა, როცა ექსპრეზიდენტი მსჯავრდებულია? – მიშას მომხრეები ამბობენ, რომ პიჯაკების გამო გამოტანილი განაჩენი პოლიტიკურადაა მოტივირებული და შესაბამისად, ესპრეზიდენტი მსჯავრდებული კი არა, არამედ, პოლიტდევნილია. შესაძლოა, ასეცაა და ისიც ფაქტია, რომ ქართული სასამართლოს მიმართ უამრავი კითხვა არსებობს, მაგრამ ასეა თუ ისე, სასამართლოს გადაწყვეტილებას ნებისმიერმა უნდა სცეს პატივი, პირველ რიგში, კი ხელისუფლებამ. ამიტომ, სააკაშვილი საქართველოს საზღვრებს შიგნით მოხვდება თუ არა, სამართალდამცავები ვალდებულები იქნებიან, დააკაონ.

თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდა, მაშინ ისიც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მიშას მომხრეები თავიანთი ფალავნის დაცვას შეეცდებიან – ეჭვი არავის ეპარება, რომ 2 ოქტომბერს, საღამოს, აეროპორტი „მიშისტებით“ „გადაიძეძგება“.

ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში, ხელისუფლება გამოცდის წინაშე დადგება – ან კანონი დაიცვას და მიშა გისოსებს მიღმა მიაბრძანოს, ან მის ეგზალტირებულ მიმდევრებს ანგარიში გაუწიოს და დაკავებაზე უარი თქვას. ერთი ვარიანტიც და მეორეც, როგორც იტყვიან, ორ ცეცხლს შუა ყოფნაა, თუმცა ყველაფერ ამის მიუხედავად, მაინც საკითხავია, რეალურად ჩამოდის მიშა თუ იგივე, ბილეთის გასაჯაროება, ჩვეულებრივი პიარ-ილეთი იყო და მეტი არაფერი?

ამ თემაზე საინტერესო მოსაზრება აქვს ანალიტიკოს გია ხუხაშვილს, რომელიც აცხადებს:

„სამართლებრივად გასაგებია – ადამიანს აქვს მისჯილი და, წესით, აეროპორტში უნდა იყოს დაპატიმრებული, მაგრამ აქ სამართლებრივი კონტექსტი საერთოდ არაა საინტერესო. საერთოდ, ჩვენი ვარაუდები და მოსაზრებები პოლიტიკურ ჭრილში უნდა იყოს განხილული. სამართლებრივად, მისი არდაპატიმრება ვიღაცის ნება რომ იყოს, მაშინ ეს კანონით მოხდებოდა – შეწყალება, ან სასამართლოს გადაწყვეტილება და ა.შ.

ნებისმიერი სხვა გზა კი პოლიტიკურად იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ჩამოიშალა, ანუ თუ ვერ შეძლებს მსჯავრდებულის დაპატიმრებას, ესე იგი, ხელისუფლება არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, სამართლებრივად ასეა.

სააკაშვილის ბოლო განცხადება, გარკვეულწილად, არჩევნებზე მოახდენს გავლენას ანუ ორმხრივად მოხდება მობილიზება – როგორც მისი, ასევე, „ქართული ოცნების“ ელექტორატისაც. დიახ, ყველაფერი ეს, ორპულუსიანობის დაბრუნებაზეა ორიენტირებული.

მიხეილ სააკაშვილის ამ განცხადებიდან და მობილიზებიდან გამომდინარე, ვერ ვიტყოდი, რომ საორგანიზაციო რესურსი მას უფრო მეტი აქვს, ვიდრე – „ქართულ ოცნებას“. ბილეთი აღებულია არა არჩევნების მიმდინარეობის პროცესში, არამედ, მას შემდეგ, რაც დასრულდება ხმის მიცემა. შესაბამისად, მისი შემდგომი მოქმედებები დამოკიდებულია უფრო იმაზე, რა მოცემულობა იქნება, როგორც არჩევნების შედეგების, ასევე, პოლიტიკის კუთხით“.

ერთი სიტყვით, სააკაშვილის საქართველოში შესაძლო ჩამოსვლას, როგორც ვნახეთ, ორი ასპექტი აქვს – პოლიტიკური და სამართლებრივი. ორივე უხერხულობა თავიდან რომ იქნეს აცილებული, შესაძლოა, მოვლენები ასე განვითარდეს – თუ მიშას ბილეთი „ფეიკი“ არაა და რეალურად აპირებს საქართველოში ჩამოსვლას, მაშინ უამინდობის ან სხვა საბაბით, მისი თვითმფრინავი თბილისის კი არა, შესაძლოა, ბათუმის ან ქუთაისის აეროპორტში დაჯდეს და ამით თავიდან იქნება აცილებული მისი მომხრეების ისტერიკა ანუ სამართალდამცავებს ექსპრეზიდენტის „აყვანა“ შედარებით მშვიდ ვითარებაში შეეძლებათ.

გარდა ამისა, თუ მიშას შესაძლო ჩამოსვლისთვის „მწვანე“ დასავლეთს არ აუნთია, ასეთ შემთხვევაში, არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ მისი რეისი საერთოდ მოიხსნას, ან ბოლო წუთს, საქართველომ ზემოხსენებული უამინდობისა თუ სხვა მსგავსი მიზეზის გამო, არ მიიღოს.

ასეა თუ ისე, ისე ჩანს, რომ არჩევნებამდე კი არა, არჩევნების დღესაც საქართველოში, პოლიტიკური დაღილის ტემპერატურა დასაშვებ ზღვარს გადასცდება, თუმცა ხელისუფლება სიმშვიდეს ინარჩუნებს და ხაზს უსვამს, რომ სააკაშვილი მსჯავრდებულია.

„ეს კაცი, უკვე რვა წელია იმუქრება, რომ ჩამოვა და არ ჩამოდის. ვერ ჩამოდის იმიტომ, რომ მშიშარა კაცია. იცის, რომ შევა ციხეში. ჩვენს ხალხს რომ ავუხსნა კიდევ ერთხელ, სააკაშვილის ერთადერთი ამოცანა და მისი მიზანი არის ჩვენი ქვეყნის არეულობა, დესტაბილიზაცია და ქაოსის შემოტანა.

ერთადერთი მისი სურვილი და მიზანი უკავშირდება ძალაუფლების დაბრუნებას, რაც არის მიუღწეველი ოცნება სააკაშვილისთვის და მისი მკვლელი, მჩაგვრელი გუნდისთვის. დღეს სახელმწიფო არის ძლიერი და მიხოს და მის ბანდას არ ეგონოს, რომ ეს 2003 წელია, ნებისმიერ პროვოკაციაზე ყველა მკაცრად აგებს პასუხს, კანონის ფარგლებში.

დავუშვათ, ჩამოვიდა ეს ლაჩარი კაცი, გადაწყვიტა და გამოაგდეს და ჩამოვიდა. რა უნდა მოხდეს, კანონის აღსრულებას ამ მიწაზე ვერავინ აღუდგება წინ და ვერ შეეწინააღმდეგება. ვინც შეეწინააღმდეგება, ისიც შევა ციხეში, ამის გარანტიას გაძლევთ კანონისა და სახელმწიფოს სახელით“, – ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილი ექსპრეზიდენტის მიერ, სოციალურ ქსელში საქართველოში დასაბრუნებელი ბილეთის გამოქვეყნებას.

სხვათა შორის, ზოგიერთი ანალიტიკოსი იმ ვერსიასაც უშვებს, რომ მიშას, შესაძლოა, ციხეში ჩაჯდომაც უნდოდეს, რადგან იმედი აქვს, რომ ამით მუხტს ასწევს და რევოლუციას თუ არა, მინიმუმ, მცირე არეულობას გამოიწვევს, მაგრამ აქვე, ანალიტიკოსები მიანიშნებენ, რომ რამდენიმე ასეული „ფანის“ გარდა, მიშასთვის ქუჩაში არავინ გავარდება, რადგან ადამიანებს, იმის მიუხედავად, „ნაცები“ არიან, „ოცნების“ მხარდამჭერები თუ შუაშისტები, აურზაური ყელში ამოუვიდათ და ურჩევნიათ, ეს პოლიტიკური ბატალიები ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს და მშვიდ ქვეყანაში იცხოვრონ.

საერთოდ, პროგნოზების გაკეთება უმადურობაა, მით უმეტეს ახლა, როცა ყოველივე ზემოთქმულიც ნათელჰყოფს, რომ ვითარება, მეტ-ნაკლებად, მყიფეა...

ვახტანგ ძაბირაძე: „საქმე სხვა თამაშთან გვაქვს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რატომ ვერ მოსთხოვს დასავლეთი ხელისუფლებას პასუხს სააკაშვილის დაკავებაზე

წინასაარჩევნოდ Edison Research-ის კვლევის შედეგები ასეთია: „ქართული ოცნება“ – 36%; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 27%; გიორგი გახარია – საქართველოსთვის – 11%; ლეიბორისტული პარტია – 4%; ლელო – 4%; ზურაბ ჯაფარიძე – გირჩი მეტი თავისუფლება – 4%; ევროპული საქართველო – 2%; გირჩი – 2%; მესამე ძალა – სტრატეგია აღმაშენებელი – 2%; პატრიოტთა ალიანსი – 2% ელენე ხოშტარია – დროა – 1%; ანა დოლიძე – ხალხისთვის – 1%; მოქალაქეები – 1%; სხვა – 3%.

თბილისის მერის არჩევნების კანდიდატების მიმართ მხარდაჭერა კი ასე განაწილდა:

კახა კალაძე – 43%; ნიკა მელია – 30%; გიორგი გახარია – 12%; ანა დოლიძე – 6%; ანა ბიბილაშვილი – 3%; სხვა – 6%.

IPSOS-ის კვლევის შედეგების მიხედვით: „ქართული ოცნება“ – 35%; ნაციონალური მოძრაობა – 30%; საქართველოსთვის – 9%; ევროპული საქართველო – 4%; ხალხისთვის – 4%; ლელო – 3%; მესამე ძალა – 3%; ლეიბორისტული პარტია – 3%; გირჩი – მეტი თავისუფლება – 2%; პატრიოტთა ალიანსი – 2%; დროა – 1%; მოქალაქეები – 1%; სხვა პარტიები – 3%.

თბილისის მერის არჩევნების კანდიდატების მიმართ მხარდაჭერა, IPSOS-ის კვლევის მიხედვით, ასე განაწილდა: კახი კალაძე – 41%; ნიკა მელია – 36%; გიორგი გახარია – 13%; ანა დოლიძე – 4%; ანა ბიბილაშვილი – 2%; დანარჩენი კანდიდატები – 4%.

კვლევის შედეგებსა და სხვა პოლიტიკურ თემებზე „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:

– სამწუხაროდ, საქართველოში კვლევები უფრო პოლიტიკური პიარის ელფერს იძენს, თუმცა ტენდენციები სწორია, თბილისში კანდიდატების განლაგება – კალაძე, მელია, გახარია, ჩემი აზრით, რეალურია, მაგრამ ვის რამდენი პროცენტი ექნება, კითხვის ნიშნის ქვეშაა. გახარიას შემოსვლამ მეორე ტურის ალბათობა გაზარდა, მაგრამ რომ არც იყოს მეორე ტური, ყველა ნეიტრალური თუ საექსპერტო წრე თვლის, რომ გამარჯვებული იქნება კალაძე და არ მგონია, მეორე ტურში ეს პოზიცია შეიცვალოს. არ ვფიქრობ, რეალობას შეესაბამებოდეს, რომ გახარიას ხმები მეორე ტურში მელიასკენ წავა. დიდი ალბათობით, მეორე ტური იქნება და კალაძე მაინც გაიმარჯვებს, რადგან ის დღეს უალტერნატივო კანდიდატია.

– პარტიულ მონაცემებზეც ვისაუბროთ ანუ მმართველი ძალა, კვლევების მიხედვით, 40%-ზე მეტს ვერ აგროვებს, არადა, თავის დროზე, როცა მიშელის დოკუმენტში 43%-იანი ბარიერი ჩაიწერა, „ოცნებაში“ აცხადებდნენ, რომ ამ მონაცემზე მეტსაც აიღებდნენ. თუ კვლევის შედეგები გამართლდა და „ოცნებამ“ 40%-ზე ნაკლები აიღო, მოვლენები როგორ განვითარდება?

– გახარიას პოლიტიკაში შემოსვლამ კორექტივები აქაც მნიშვნელოვნად შეიტანა, გახარიას ხმების ძირითადი ნაწილი მაინც „ოცნების“ ყოფილი ხმებია. ამიტომ „ოცნებისთვის“ 43% საკმაოდ მძიმე ტვირთი აღმოჩნდა, მაგრამ პროცესები ჯერ არ დასრულებულა. ახლახანს, ძალიან საინტერესო რამ მოხდა, რაც ძლიერი დარტყმაა გახარიაზე ელექტორალური თვალსაზრისით. ეს არის ის ბილეთი, რომელიც ვიხილეთ და ვნახეთ, რომ კიევიდან ვიზიტორი ჩნდება არჩევნების დროს და ამაზე აწყობილია ახალი კამპანია. არ ვარ დარწმუნებული, რომ რეისი არ გადაიდება ან სხვა რამ მოხდება, მაგრამ საკმაო დროა, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის მობილიზება მოხდეს ისევ მმართველი ძალის პოლუსზე. ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ ამას „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა და აქედან გამომდინარე, ალბათობა იმისა, რომ „ოცნებამ“ 43% აიღოს, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

– ანუ მიგაჩნიათ, რომ სააკაშვილის მიერ ჩამოსვლის დაანონსება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიცხვს გაზრდის?

– დიახ.

– გახარიასთვის?

– ამიტომ ვთქვი, რომ ელექტორალური დარტყმა მიიღო გახარიამ და ის ხალხი, ვინც თვლიდა, რომ მისთვის უნდა მიეცა ხმა, დიდი ალბათობით, დაუბრუნდება მმართველ ძალას. სააკაშვილის ფაქტორი, როცა ლაპარაკია 2-ში, საღამოს ჩამოსვლაზე, მობილიზებას გაუკეთებს „ოცნების“ ამომრჩეველს, თორემ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი ისედაც მობილიზებულია. ეს ფაქტორი წვრილი პარტიების ელექტორატს გადაანაწილებს არა „ნაციონალების“, არამედ, „ოცნების“ სასარგებლოდ.

– ბატონო ვახტანგ, ხედავთ საფრთხეს, რომ სააკაშვილის ჩამოსვლით საქართველოში ვითარება დაიძაბოს?

– თუ იმ სცენარის შემდეგ, რაც გათამაშდა, სააკაშვილი არ ჩამოვიდა, ეს ნიშნავს, რომ მან ითამაშა ივანიშვილის თამაში. შეჩვეული ვიყავით, რომ აკეთებდა განცხადებას, მაგრამ არ ჩამოდიოდა, თუმცა რადგან გამოაქვეყნა ბილეთი, უარის თქმა და არჩამოსვლა ნიშნავს, რომ სიტყვა შეაშველა „ოცნებას“, 43% მიეღო, სხვა ლოგიკა არ არსებობს. რაც შეეხება შემდგომ პროცესებს, მიუხედავად იმისა, რომ მოსმენები გამოქვეყნდა და თქვეს, ყველას გვისმენენო, საზოგადოებაში მუხტი არ აიწია და განწყობა საკმაოდ ინდიფერენტულია ანუ განწყობა, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს, არ არსებობს. თუ სააკაშვილი ჩამოვა და ხელისუფლება არ განახორციელებს მის იზოლირებას, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება, უბრალოდ, აბარებს ძალაუფლებას ოპოზიციას, ხოლო თუ ხელისუფლება შეასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას და დააპატიმრებს, ჩემი შეფასებით, გამოსვლები იქნება, მაგრამ ეს არ იქნება ისეთი, როგორსაც ოპოზიციის ეს ფრთა ელოდება.

– საერთაშორისო მხარდაჭერაზე რას იტყვით, ბატონო ვახტანგ?

– როცა სააკაშვილმა ეს თქვა, დასავლეთში საკმაოდ ფრთხილი განცხადებები გააკეთეს. აქ პრობლემა გაცილებით მარტივია „ოცნებისთვის“, ვიდრე იყო მელიასთან დაკავშირებით. სააკაშვილის განაჩენი, დიდი ხანია, გამოტანილია და ეს მოულოდნელი არაა დასავლეთისთვის. რამდენადაც ვიცი, ეს განაჩენი არ გასაჩივრებულა, ყოველ შემთხვევაში, საქმე სტრასბურგამდე არ მისულა, ამიტომ არგუმენტი, რომ „ტყუილად მომისაჯეს“, ამ შემთხვევაში, არ იმუშავებს. რა უნდა ქნას დასავლეთმა, არ აღასრულოს ხელისუფლებამ განაჩენი – ეს მოსთხოვოს? მელიას ვითარება სიტუაციურად სხვა იყო. ამასთან, კი ბატონო, დასავლეთი კრიტიკულადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ასევეა განწყობილი ნაციონალების მიმართაც. დასავლეთი საქართველოს იმ საზოგადოების პოზიციას იზიარებს, ვისაც არც „ნაციონალები“ უნდა და არც – „ქართული ოცნება“. ამიტომ, რომ გითხრათ, დასავლეთის დიდი მხარდაჭერა ექნება პატიმარ სააკაშვილს-მეთქი, ასე არ მგონია. თუ „ქართულმა ოცნებამ“ არ დაუშვა აბსურდული შეცდომები, ეს საპროტესტო ტალღა ერთ თვეში მინელდება და ჩაქრება. იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, რუსთაველზე რამდენი კაცია, არამედ, იმ ხალხს სახლიდან რამდენი ადამიანი ეთანხმება. როცა ეს თანხვედრაა, მაშინ ხელისუფლების ბედი გადაწყვეტილია. 2012 წელს, ენმ-მ მთელი სტადიონი გაავსო, მაგრამ მთელი მოსახლეობა იმ სტადიონს, მაპატიეთ და, აგინებდა. ამიტომაც ვთქვი, რომ არჩევნებზე მივლენ, მაგრამ ქუჩაში არ გამოვლენ. ძალით თავს ხალხს ვერაფერს მოახვევ.

– ასე რომ იყოს, როგორ ფიქრობთ, ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც სააკაშვილია, ამას ვერ მიხვდებოდა?

– სააკაშვილის ტიპაჟის ლიდერისთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდება მომგებიანია. ამიტომ მას ან არასწორ ინფორმაციას აწვდიან, ან სხვა თამაშთან გვაქვს საქმე, რომელზეც მხოლოდ ვერსიებით შეგვიძლია საუბარი.

„ჩვენი ქვეყნის მტრები უკეთესს ვერაფერს ინატრებენ“ – რეალური მიზეზი, რის გამოც ნამახვანჰესი აღარ აშენდება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თურქული კომპანია ENKA Renewables-ი საქართველოში ნამახვანჰესს აღარ ააშენებს. საქართველოს მთავარობასთან გაფორმებული ხელშეკრულების გაწყვეტის მიზეზი პირობების დარღვევა და ფორსმაჟორია: „ENKA INŞAAT აცხადებს, რომ მისმა შვილობილმა კომპანია – ENKA Renewables-მა გადაწყვიტა, შეწყვიტოს სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფოსთან, ნამახვანის კასკადის პროექტის შემუშავების, მშენებლობის, საკუთრებისა და ექსპლუატაციის შესახებ. საქართველოს 2019 წლის 25 აპრილის კონტრაქტის ხანგრძლივად დარღვევისა და ფორსმაჟორული სიტუაციის გამო“...

ნამახვანჰესის პროექტი ორი – 333 და 100 მეგავატი (მგვტ) სიმძლავრის ჰესის მშენებლობას გულისხმობს დასავლეთ საქართველოში, მდინარე რიონზე, რასაც მოსახლეობის ნაწილი დაუპირისპირდა. საპროტესტო აქციები, ორგანიზატორებმა ანუ „რიონის ხეობის მცველებმა“ 2020 წლის მაისში დაიწყეს და ერთი წლის მანძილზე – 2021 წლის მაისამდე გააგრძელეს. 2021 წლის 12 მარტს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ განაცხადა, რომ ნამახვანჰესის ინვესტორთან დიალოგის შედეგად მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმად, ძირითადი კვლევების გადამოწმებამდე, კაშხლისა და წყალსაცავის მშენებლობა არ დაიწყებოდა. მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ კვლევების ვალიდაციამდე, ჰესის სამშენებლო სამუშაოები 9-12 თვემდე ვადით შეჩერდებოდა.

სხვათა შორის, ნამახვანჰესი ერთადერთი ენერგეტიკული პროექტი არ არის, რომლის მშენებლობაც გარემოზე ზემოქმედების გამო შეჩერდა. წლების წინ, მოსახლეობის პროტესტის გამო შეჩერდა ხუდონისა და ნენსკრაჰესების მშენებლობაც. არადა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ენერგოდამოუკიდებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ენერგოდამოუკიდებლობა – ჰიდროელექტროსადგურების გარეშე, განსაკუთრებით, ჰიდრორესურსებით მდიდარ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

„ვერსიას“ ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით მირცხულავა ესაუბრა.

– ბატონო დათო, უკვე ცნობილია, რომ კომპანია ENKA Renewables-ი ნამახვანჰესს აღარ ააშენებს. ყოველ შემთხვევაში, კომპანიის სათაო ოფისის მიერ გავრცელებული განცხადებით, ასეა. რა სანქციები ელის ქვეყანას იმ შემთხვევაში, თუ თურქები ნამახვანის პროექტს დატოვებენ?

– მეც იგივე ინფორმაციას ვფლობ. რაც შეეხება სანქციებს, დიდი ალბათობით, ეს საერთშორისო არბიტრაჟის თემა იქნება. სავარაუდოდ, ქვეყანას მოუწევს დიდი ოდენობის თანხების გადახდა, რაც ჩვენს ბიუჯეტს საგრძნობლად დაარტყამს.

მეორე მხრივ, დიდი საერთაშორისო ინვესტორები, როცა ისინი ლონდონის არბიტრაჟში საქმის განხილვით ან სახელმწიფოსთან დაპირისპირებით გადიან ქვეყნიდან, ძალიან ცუდია ჩვენი ქვეყნის იმიჯისა და ზოგადად, მისი საინვესტიციო კლიმატისთვის.

ჩვენი ქვეყნის, მისი ეკონომიკური განვითარების მოწინააღმდეგები, მტრები, უკეთესს ვერაფერს ინატრებენ – ეს ხომ ცუდი სიგნალია ყველა საერთაშორისო ინვესტორისთვის, განახორციელოს ინვესტიცია ჩვენ ქვეყანაში. რა გავლენა აქვს პირდაპირ ინვესტიციებს ქვეყნის ეკონომიკაზე, თითოეული ადამიანის კეთილდღეობაზე, ვფიქრობ, ეს კარგად მოგეხსენებათ, თუმცა არა მხოლოდ არბიტრაჟის თემები, ნახეთ, რამდენი პროექტია დღეს გაჩერებული ქართულ ენერგეტიკაში, 2013-2020 წლების ყველაზე დიდი ენერგეტიკული ნახტომის შემდეგ, ქვეყნის გენერაციაში, მხოლოდ 7 წელიწადში, 1 300 მეგავატია! ჩვენი დამოუკიდებლობის ისტორიისთვის უპრეცედენტო სიმძლავრეების ზრდას ჰქონდა ადგილი (ქარის სადგური, ათეულობით მცირე და საშუალო ჰესები, ორი კომბინირებული ციკლის თანამედროვე მაღალეფექტური თბოსადგური), დღეს, ფაქტობრივად, ეს ზრდა ქართულ ენერგეტიკაში, რომელიც ინფრასტრუქტურული საფუძველია ქვეყნის ეკონომიკისა, გაჩერებულია, რაც ძალიან ცუდია.

– მთავრობას ინვესტორების შესაჩერებლად რამე ბერკეტი არ აქვს თუ მოლაპარაკების ყველა რესურსი უკვე ამოიწურა?

– ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ, მთავრობამ უნდა გასცეს პასუხი. საგულისხმოა, რომ ინვესტორმა ეს განცხადება მაშინ გააკეთა, როდესაც ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დავების გადაწყვეტისა და მოლაპარაკების ცენტრის მონაწილეობით, ნამახვანჰესზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა და ეს მოლაპარაკებები არ იყო დასრულებული. იცით, ეს მოლაპარაკებები მთავრობის, ასევე, ნამახვანჰესის პროექტის მოწინააღმდეგე, მომხრე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა. კომპანია „ენკას“ განცხადება ამ მოლაპარაკებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილის, პროექტის მოწინააღმდეგის – „რიონის მცველების“ მედიაციის პროცესიდან გასვლას მოჰყვა. ვერ გეტყვით, „რიონის მცველების“ ეს ქმედება ინვესტორმა, ზოგადად, პროცესის ისევ რადიკალიზაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად აღიქვა და არ დააყოვნა მათმა რეაქციამ, თუ ეს პროცესის ასე განვითარების შემთხვევითი თანმიმდევრობა იყო.

– სამწუხაროდ, ნამახვანჰესი პირველი პროექტი არაა, რომელიც გაურკვეველი ვადით ჩერდება, კარგად გვახსოვს ხუდონჰესის, ასევე, ნენსკრაჰესის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟიც, რის გამოც ეს პროექტები შეჩერდა. რა ხდება, ბატონო დათო, უფრო ზუსტად, ვისი ან რისი ბრალია, რომ ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისთვის მნიშვნელოვან ამ პროექტებს ამდენი მოწინააღმდეგე ჰყავს ქვეყანაში?

– ბოლოდან დავიწყებ: ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, სერიოზული მოწინააღმდეგეები ჩენს ენერგოდამოუკიდებლობას ჰყავს არა მარტო ქვეყნის შიგნით,

დასასრული მე-6 გვერდზე

„ჩვენი ქვეყნის მტრები უკეთესს ვერაფერს ინატრებენ“ – რეალური მიზეზი, რის გამოც ნამახვანჰესი აღარ აშენდება

მე-3 გვერდიდან

არამედ, ქვეყნის გარეთ, მაგრამ ეს ცალკე, ძალიან დიდი და სერიოზული თემაა და ამ ინტერვიუში, ბუნებრივია, ამაზე ვერ ვისაუბრებ. თქვენ ამბობთ, რომ მხოლოდ ნამახვანს, ხუდონსა და ნენსკრას აქვს პრობლემები, მაგრამ ეს ასე არაა. ხელის თითებზე ჩამოგითვლით პროექტებს, რომელთაც მეტ-ნაკლებად, პრობლემები არ აქვთ და ეს პროექტის სიდიდეს საერთოდ არ უკავშირდებდა, იქნება ეს მცირე, საშუალო სიმძლავრის თუ დიდი ჰესი. არა მარტო ჰესებს, ჰკითხეთ ქარის პროექტების ნებისმიერ დეველოპერს, ყველას დიდი პრობლემები აქვს. სამწუხაროა, რომ ეს სისტემური შეტევები განახლებადი ენერგიის პროექტებზე, გამონაკლისების გარდა, უმეტესად, რამე ობიექტურ მიზეზთან არაა დაკავშირებული.

დღეს უდიდესი გამოწვევაა გლობალური კლიმატის ცვლილება და დეკარბონიზაცია, მთელ მსოფლიოში ენერგეტიკული სისტემების შეცვლა იგეგმება, რაც მეოთხე ენერგეტიკულ გადასვლასთან არის დაკავშირებული.

ყველგან, 2050 წლამდე გეგმებით ევროპაში, აზიაში, ამერიკის კონტინენტზე, ქვეყნები უარს ამბობენ წიაღისეულ საწვავზე და ახალი საგზაო რუკებით გეგმავენ 2050 წლისთვის სრულად გადასვლას განახლებადი ენერგიის წყაროებზე. „ცვლადი“ განახლებადი ენერგიის წყაროების ზრდა, როგორებიცაა ქარისა და მზის ელექტროსადგურები, თავისთავად მოითხოვენ დაჩქარებას, ენერგეტიკულ სისტემებში ჩართვას, ინტეგრირებას ისეთი გენერაციის ობიექტებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ და გაზრდიან მთელი სისტემის მანევრულობასა და ენერგიის შენახვის საშუალებას ენერგოსისტემაში. ამის გარეშე, დიდი მოცულობის ქარისა და მზის სადგურების შემოყვანა ენერგოსისტემაში, ტექნიკურად შეუძლებელია, ეს კი იმ „გამორჩეულ“ ქვეყნებს, რომლებსაც ამის ბუნებრივი საშუალება გააჩნიათ და, მათ შორის, უდავოდ საქართველოცაა, შეუძლიათ განახორციელონ, სწორედ წყალსაცავიანი ჰიდროსადგურებით, ასევე, ჰიდროაკუმულიაციური ჰიდროსადგურებით.

ეს გზა და ტექნიკური გადაწყვეტა მიჩნევა ეკონომიკურად ყველაზე მისაღებ გზად. ესაა, სწორედ მიზეზი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ასეთი პროექტების რიცხვის სწრაფი ზრდისა.

მთელ მსოფლიოში მიიჩნევენ, რომ ჰიდროენერგეტიკას გადამწყვეტი როლი აკისრია კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში და ის განახლებადი ენერგიის დიდი წყაროა. ჰიდროენერგეტიკა გვაძლევს ენერგიის შენახვის საშუალებას წყალსაცავების საშუალებით და ამასთან, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების შედეგების შემარბილებლად. ამის დადასტურებაც დღეს ხომ მეტად მარტივია, გადახედეთ მიმდინარე და დაგეგმილ ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში ხორციელდება ან იგეგმება და ყველაფერი ნათელი გახდება. ამის შესახებ, ხომ უამრავი ინფორმაცია, სტატია, კვლევების ანგარიშები ვრცელდება და ნებისმიერი ადამიანისთვისაა ხელმისაწვდომი.

ამ დღეებში, 7-21 სექტემბრამდე, სწორედ ამ თემებზე მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ჰიდროენერგეტიკის გაზრდილ როლზე, თანამედროვე ეტაპზე საუბრობდნენ ისეთი გამორჩეული პოლიტიკოსები და მოაზროვნენი, როგორებიც არიან: ტონი ბლერი – დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მალკოლმ ტურნბული -ავსტრალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი. საქართველოში კი ზოგიერთები, მათ შორის პოლიტიკოსები, ჰიდროენერგეტიკას გუშინდელ დღედ მიიჩნევენ...

ამ დროს, საქართველოს გააჩნია ეს რესურსი, თუმცა სამწუხაროდ, ყველაფერი კეთდება და ვერ გეტყვით, საიდან შემოსული უდიდესი თანხები იხარჯება, რომ ქვეყანამ ეს დიდი რესურსი არ აითვისოს.

– საბოლოოდ, დიდ ჰესებზე უარის თქმით, რაც მოწინააღმდეგეებს საკუთარ გამარჯვებად მიაჩნიათ, რუსეთის წისქვილზე არ ვასხამთ წყალს? სინამდვილეში, საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა, სწორედ რუსეთს არ აწყობს, ხომ ასეა?

– ზემოთ აღვნიშნე, რომ წყალსაცავიანი ჰესები და ჰიდროაკუმულიაციური ჰესები, ნებისმიერ ენერგოსისტემას უზრდის მანევრულობას, აძლევს ენერგიის შენახვის საშუალებას, რაც კრიტიკულია კონკრეტულად ნებისმიერი ენერგოსისტემისთვის, ქარის და მზის ელექტროსადგურების ინტეგრაციისა და მათი განვითარებისთვის. გარდა ამისა, ჩვენ დეფიციტური ქვეყანა ვართ და მუდმივად ვახორციელებთ ელექტროენერგიის იმპორტს, უამრავი თანხა, რაც ქვეყნიდან ელექტროენერგიის, ასევე, ბუნებრი გაზის (რომელიც ენერგიის გამომუშავებისთვის, ჩვენს თბოსადგურებში იწვის) იმპორტისთვის გაედინება, ხმარდება მეზობელი ქვეყნების, ზოგჯერ ჩვენს მიმართ არა კეთილად განწყობილი ქვეყნის ენერგოსისტემების განვითარებას. ამაზე ყველას დაფიქრება მართებს.

– ბოლო დროს, ქართველ გარემოსდამცველებს შორის ასეთი ტენდენცია დამკვიდრდა: ისინი მხოლოდ და მხოლოდ დიდი ჰესების მშენებლობას აპროტესტებენ, თანაც იმ არგუმენტით, თითქოს ჰესების მშენებლობით გარემო დაზიანდება და აქცენტს განახლებადი ენერგიის წყაროებზე აკეთებენ, მაგრამ რეალურად, იგივე, მზის ან ქარის ენერგოპროექტები საკმაოდ ძვირადღირებულია, თან უკვე ბრძანეთ, რომ იგივე, მზის ან ქარის ენერგოსისტემების განვითარებას ჰიდრორესურსების ათვისება სჭირდება... ბატონო დათო, ჰესებს ებრძვიან ქვეყანაში, რომელიც ჰიდრორესურსებით საკმაოდ მდიდარია, ამიტომ ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რატომ ვერ ან არ ვიყენებთ ამ რესურსს?

– ასე ნამდვილად არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნე, უზარმაზარი წინააღმდეგობა ხვდება განახლებადი ენერგიის ნებისმიერ პროექტს საქართველოში და არა მარტო დიდი ჰესების პროექტებს! არავინაა წინააღმდეგი, სიღრმისეულად შევისწავლოთ და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა გადაამოწმონ პროექტის გარემოზე ზემოქმედების, ან პროექტის ტექნიკური უსაფრთხოების საკითხები, მისი საიმედოობის საკითხები. სხვათა შორის, პროექტის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და პროექტის მასშტაბების მიხედვით, ამ ექსპერტიზაში საერთაშორისო კომპანიების ჩართვაზე უარს არავინ ამბობს.

მესმის, რომ ოპონენტები დაასახელებენ საქართველოში უხარისხოდ განხორციელებულ რამდენიმე პროექტს, სადაც სხვადასხვა სახის ავარიები და ინციდენტები მოხდა, მაგრამ გარწმუნებთ, ამ ავარიების შესახებ მე გაცილებით მეტი და ობიექტური ინფორმაცია მაქვს, ვიდრე მათ! ეს თემები მეც ძალიან მაწუხებს, მაგრამ ამ შეცდომების გამო, მთელ დარგს და ყველა პროექტს შეუქმნა გადაულახავი დაბრკოლება, მიმაჩნია, რომ ეს კატეგორიულად არ არის სწორი!

მეტსაც გეტყვით, დღეს, საინვესტიციო გარემოც აშკარად გაუმჯობესებას მოითხოვს. პროექტის არეალში მაცხოვრებლების, თემის, რაიონის პირდაპირ სარგებლის თემაც მოითხოვს მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და მიმაჩნია, ეს გადაუდებელი ამოცანებია. გადაუდებლად მიმაჩნია, ასევე, პროექტებისთვის სტიმულირების მექანიზმის ოპტიმალური გადაწყვეტილების სასწრაფო მოძებნა, რათა პროექტების საიმედოობის ხარჯზე არ გაუჩნდეს ვინმეს მცდელობა, მათი საინვესტიციო ღირებულება შეამციროს და დღეს, ესეც დიდი პრობლემაა. ზედამხედველობაც ენერგეტიკულ პროექტებზე აშკარად ახალ, რადიკალურ და განსხვავებულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს. ენერგეტიკული ობიექტების უსაფრთხოების კანონმდებლობაც შესაქმნელია, აქ მრავალი წელია, ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდ დახმარებას უწევს ისეთი ჰიდროენერგეტიკული ქვეყანა, როგორიცაა შვეიცარია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ყოვლად გაუგებარი მიზეზების გამო, უსაფრთხოების ამ კანონზე მუშაობა ვერ დასრულდა.

„ეს ღირსების ბრძოლა იყო!“ – ზაირა მიქატაძის მოგონებები აფხაზეთის ომზე

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

სოხუმის დაცემიდან 28 წელი გავიდა... ომი, რომელიც 13 თვე და 13 დღე გრძელდებოდა, 1993 წლის 27 სექტემბერს საქართველოსთვის ტრაგიკულად დასრულდა – ჩვენი აფხაზეთი დავკარგეთ... 28 წელია, რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთი საქართველოსთვის მიუწვდომელ ოცნებად რჩება და მხოლოდ შორიდან, შორიდან შეგვიძლია მოვეფეროთ... და რა ხდება ოკუპირებულ აფხაზეთში? – ქართულ ენაზე სწავლება საბოლოოდ აკრძალეს და რუსეთი „რბილ ძალას“ დღითიდღე აძლიერებს... ახალ თაობებს აფხაზეთის დაკარგვის ტკივილი და ემოცია თითქოს ყოველდღიურად უნელდებათ... სამაგიეროდ, ომის ტკივილიანი დღეები თვალნათლივ ახსოვთ აფხაზეთის ომის მონაწილეებს, ადამიანებს, რომელთა თვალწინაც საქართველოს ამ შავ-ბნელმა დღეებმა ჩაიარეს. 27 სექტემბრის ტრაგედიაზე „ვერსია“ აფხაზეთის ომის მონაწილეს, ჟურნალისტ ზაირა მიქატაძეს ესაუბრა.

„აფხაზები სიმამაცეს გამოიჩენენ და აღიარებენ, რომ ერთადერთი გზა ქართველებთან თანაცხოვრებაა!“

– ქალბატონო ზაირა, 28 წლის შემდეგ, როგორია თქვენი თვალით დანახული აფხაზეთის ომი?

– 28 წლის შემდეგ, ემოცია არ შეცვლილა და ახლაც იგივე განცდა მაქვს, რაც 28 წლის წინ, 27 სექტემბერს მქონდა, როცა გავიგე, რომ სოხუმი დაეცა. ემოცია და ტკივილი არ განელებულა, უბრალოდ, მაქვს იმედი, რომ იმ ბიჭების სისხლი ტყუილად არ დაღვრილა, ერთ დღესაც, უფალი გადმოგვხედავს და აფხაზეთსა და აფხაზებს მისი დახმარებით დავიბრუნებთ. ეს იმედი მაძლებინებს, მაგრამ როცა ჩვენი ბიჭების დაღუპვის ან დაბადების დღე მოდის და მათ ისტორიებს ვიხსენებ, ეს ტკივილი უწყვეტი და გაუნელებელია. სოციალურ ქსელში ნიკუშა თურმანაული გავიხსენე, მართალია, ის განახლებულ ომამდე ცოტა ადრე დაიღუპა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, აფხაზეთის ომი დაღუპულთა ოჯახებისა და ცოცხლად დარჩენილი მეომრებისთვის ერთი დიდი ტკივილია.

სხვათა შორის, საზოგადოების მხრიდან გულგრილობა მაშინაც იყო, აფხაზეთის ომის დროს და ახლაცაა. მაშინ ამ გულგრილობას ასე გამოკვეთილად ვერ ვგრძნობდი, მაგრამ ფაქტებს ახლა რომ ვიხსენებ, მიკვირს, ამ ბიჭებს როგორ ეყოთ სულისკვეთება, 13 თვისა და 13 დღის განმავლობაში, ანთებული გულით ბოლომდე ებრძოლათ! როცა აფხაზეთში ომი განახლდა, ახალი ხელშეკრულების თანახმად, იქაურობა მძიმე ტექნიკისგან უნდა დაცლილიყო, ჩვენი მხარე, მართლაც, ასე მოიქცა. მართალია, ადგილობრივმა ქვედანაყოფებმა შეძლეს და რამდენიმე მძიმე ტექნიკა, დაშლილ მდგომარეობაში გადამალეს, მაგრამ ისინი, რომლებიც განახლებულ ომში წავიდნენ, მხოლოდ ავტომატებით იყვნენ. აბსოლუტურად ყველა მათგანი ჩემთვის გმირია, რადგან ისინი სასაკლაოზე მიდიოდნენ და სამშობლოს გადასარჩენად სიცოცხლე თავიდანვე გადადებული ჰქონდათ. შესაძლოა, უმეტესობამ იცოდა, რომ ეს ომი წაგებული იყო, მაგრამ განახლებულ ომში წასვლა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობისთვის კი არა, ღირსებისთვისაც ბრძოლაც იყო! დიახ, ეს ღირსების ომი იყო!

– სოხუმის დაცემის დროს, აფხაზეთში იყავით?

– სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, განახლებული ომის მონაწილე ვერ გავხდი. როცა აფხაზეთის ომში წავედი, არავის ვიცნობდი და „თეთრი არწივის“ სადესანტო-მოიერიშე ბატალიონში მოვხვდი, რომელიც ბაბუშერაში, ჩემს თვალწინ ჩამოყალიბდა და ეს ბიჭები მხოლოდ მეომრები და სამშობლოს ჯარისკაცები კი არა, ჩემი მეგობრები გახდნენ. მათ განახლებულ ომში ჩემი წაყვანა გაუჭირდათ, უარი მითხრეს. ჩემით კი ვერ წავიდოდი – ფრენები არ იყო. ბიჭები, ძირითადად, ავტობუსებით მიდიოდნენ. მახსოვს, როცა პირველი ნაკადი მიდიოდა, მეომრებით სავსე „იკარუსში“ ბიჭებს სიგარეტი მოუნდათ, ატობუსი ჯიხურთან გააჩერეს, ცხონებული ზურა ბიბილაშვილი (ომის შემდეგ, თავი მოიკლა) გადავიდა და გამყიდველს ერთი კოლოფი სიგარეტი სთხოვა – ფული არ ჰქონდა და გამყიდველს უთხრა, ომში მივდივართო, მაგრამ გამყიდველმა სიგარეტი არ მისცა. ზურა განერვიულდა და ჯიხურის მინა ავტომატის კონდახით ჩაამტვრია. მათ რომ ყაჩაღობა სდომებოდათ, ერთ ავტობუსს ერთი კოლოფი სიგარეტი ეყოფოდა?! უფრო მეტს მოითხოვდნენ... აი, ასეთი გულგრილობა იყო საზოგადოებაში... კიდევ ერთ ისტორიას გავიხსენებ, ქალაქს და საავადმყოფოს შეგნებულად არ დავასახელებ, უკვე აქეთ ვიყავით გადმოსულები, საავადმყოფოში ამბობდნენ, საკაცეები მიაქვთ და უკან არ აბრუნებენო, არადა, ამ საკაცით, 19 წლის ბავშვი „ურალზე“ უნდა დაგვესვენებინა... ასეთი გულგრილი დამოკიდებულების მიუხედავად, ბიჭებს მაინც ეყოთ სულისკვეთება, რომ ებრძოლათ.

– ამ გადასახედიდან, როგორ აფასებთ აფხაზეთის ომის მოვლენებს?

– ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, ნეტავ, რისთვის იბრძოდნენ, რისთვის დაგვიმახინჯდა სული და ცხოვრება ცოცხლად დარჩენილებს?! ამაზე ფიქრი არ მინდა და არც ის მინდა, რომ ამ ბიჭების დაღვრილი სისხლი უშედეგოდ ჩაითვალოს. ამიტომაც, როგორც მარგალიტებს, ისე ვეძებ უსახელო გმირების ისტორიებს და ვაკოწიწებ. ჩვენს ბატალიონს განახლებულ ომში ძალიან ბევრი მეომარი დაგვეღუპა, ბატალიონის მეთაური, ლევან ასათიანი მძიმედ დაიჭრა, დაჭრილი ბიჭები საშველად წასულ თანამებრძოლებს ეუბნებოდნენ და ხელით ანიშნებდნენ, წადითო. რა თქმა უნდა, მათ ბიჭები არ ტოვებდნენ, ხშირად თავადაც იჭრებოდნენ და საშველი ხდებოდნენ. ასე დაგვრჩა რამდენიმე მეომარი ოკუპირებულ აფხაზეთში. მათ დიდი ბრძოლა გადაიტანეს რკინიგზის სადგურზე, სოხუმში. 2014 წლის ბოლოს, როცა აფხაზეთში მოვხვდი, ზუსტად რკინიგზის სადგურის წინ, ფეხქვეშ მეწვოდა მიწა, რადგან ვფიქრობდი, იქნებ, აქ, ჩემი ბიჭების საფლავებზე ვდგავარ-მეთქი... დღეს გადმოუსვენებელი გვყავს ზაზა დემეტრაშვილი, დანარჩენების გადმოსვენება, საბედნიეროდ (თუ შეიძლება, ასე ითქვას), მოვახერხეთ...

მოკლედ, იმას გეუბნებოდით, თუ რატომ ვერ მოვხვდი განახლებულ ომში... უარის მიუხედავად, ბიჭებს ვუთხარი, აფხაზეთში მაინც ჩამოვალ-მეთქი და წასვლას ვცდილობდი. ზურგჩანთა გავამზადე და ხელსაყრელ მომენტს ველოდებოდი. გავიგე, რომ 22 სექტემბერს ვასიკო ჭიჭიაშვილი მიდიოდა. დავუკავშირდი, დავთქვით დრო, როდის უნდა შევხვედროდით, მაგრამ მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო და ერთმანეთთან დაკავშირება ვეღარ შევძელით. ვასიკო, თურმე, გაფრენილა და იმ თვითმფრინავში ჩაიწვა, ბაბუშერას აეროპორტში რომ ააფეთქეს (ტირის, – ავტ.)...

აი, ასე ავცდი იმ ტრაგედიას, ალბათ, ღმერთის ნება იყო, რადგან მანამდე გამყოლს არ ვეძებდი ხოლმე და სულ მარტო მივდიოდი, თუმცა მაშინ ვერ შევძელი, რაც, ალბათ, ბედისწერა იყო... არ მინდა, ამ ბიჭების სისხლმა უკვალოდ ჩაიაროს და ამიტომაც, ვისაც აფხაზეთის ომის ტრაგედია გვაწუხებს, ვცდილობთ, უსახელო გმირების ამბები ისტორიას დავუტოვოთ, იქნებ, მათი მსხვერპლი ამით მაინც გავამართლოთ და მომავალი თაობები ამ ბიჭების მაგალითზე აღვზარდოთ!

– ახალ თაობებს აფხაზეთის ომის მიმართ ემოცია თითქოს უნელდებათ... ვცდები?

დასასრული მე-8 გვერდზე

„ეს ღირსების ბრძოლა იყო!“ – ზაირა მიქატაძის მოგონებები აფხაზეთის ომზე

მე-7 გვერდიდან

– მხოლოდ ახალგაზრდა თაობა ვერაფერს გახდება, თუ ამაზე მშობლებმა, სკოლამ, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ არ იმუშავა. ახალგაზრდებს აფხაზეთი, აფხაზეთში ნაომარი ბიჭები უნდა შევაყვაროთ და მათზე მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ. შესანიშნავი თაობა მოდის და ახალგაზრდობა სწორად აღიქვამს აფხაზეთის დაკარგვას. შესაბამისად, აფხაზეთის დაბრუნების გზასაც სწორად გამონახავს. ახალგაზრდა თაობას კი არ ვაბრალებ, რომ ამ საკითხის მიმართ გულგრილია, არამედ, მეტი ძალისხმევა ჩვენ გვმართებს, რომ მათთან აფხაზეთის ტკივილი და ის მივიტანოთ, რომ აფხაზეთი საქართველოა!

– როცა საკუთარი თვალით ხედავდით, როგორ იბრძოდნენ ბიჭები, გიფიქრიათ, რომ 28 წლის შემდეგ, აფხაზეთის დაბრუნება ისევ მიუღწეველი ოცნება იქნებოდა?

– არა, ამაზე არც მე და არც ბიჭები დავფიქრებულვართ. აფხაზეთი რომ დატოვეს, ბიჭების უმეტესობა ფიქრობდა, რომ ისევ გამოცხადდებოდა მობილიზება და ისევ წავიდოდნენ საომრად. მეც ასე მეგონა, რომ ძალებს მოვიკრებდით და ისევ დავბრუნდებოდით, ვიბრძოლებდით აფხაზეთის დასაბრუნებლად. ნამდვილად არ მეგონა, რომ 28 წელი გაგრძელდებოდა და აფხაზეთში ფეხს ვერ დავადგამდით...

– და ახლა როგორი განცდა გაქვთ?

– ახლა იმედი მაქვს... და ამ იმედს აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა მაძლევს. იქ 7 წლის წინ ვიყავი, ამ პერიოდში, ჩვენთანაც ცხოვრება წინ წავიდა და განვითარდა, მაგრამ მაშინდელ ენგურს გაღმა და გამოღმა საქართველოს რომ ვადარებ, ძალიან ჩამოგვრჩებოდა აფხაზეთი. აფხაზებმა, რომლებიც სამკურნალოდ და სხვადასხვა მიზნით გადმოდიოდნენ აქეთ, აღნიშნეს კიდეც, თქვენთან როგორი მოწესრიგებულია პატრული, არავინ გაჩერებს, თუ არ დაარღვევ და ჩვენთან ინსპექცია ყოველ წუთს გაჩერებს, როცა ფული შემოაკლდებათო... მათ მოსწონდათ ჩვენი ცხოვრების პირობები, გატარებული რეფორმები, ძალიან ბევრი ქართულ პასპორტს იღებს და მიაჩნია, რომ ერთ დღესაც, თუ აფხაზეთი არ დაუბრუნდება, თავად გადმოვლენ ენგურს გამოღმა. ასე რომ, იქ შექმნილი სიტუაცია – ჩამორჩენილობა მაძლევს იმედს, რომ აფხაზები გონს არიან მოგებული, გამბედაობას, სიმამაცეს გამოიჩენენ და აღიარებენ, რომ ერთადერთი გზა ქართველებთან თანაცხოვრებაა. ახალ თაობაში ბევრი ვიცი, რომელიც თავის თანატოლებთან სოციალური ქსელის მეშვეობით ამყარებს ურთიერთობას და ერთმანეთს აზრებს

უცვლიან... სამწუხაროდ, მედია არ აქცევს ამას ყურადღებას, მაგრამ ძალიან ბევრი ახალგაზრდა ვიცი, ქართველიცა და აფხაზიც, რომლებიც ერთმანეთთან თანაცხოვრების გზებს ეძებენ.

– ეს გასაგებია, მაგრამ სანამ ჩვენსა და აფხაზებს შორის რუსეთი იდგება, აფხაზების გამბედაობის იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს... მაშინ გაცნობიერებული ჰქონდათ მებრძოლებს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს რუსეთი იდგა?

– რუსეთი აფხაზებს ყოველთვის აქეზებდა. ომი რომ დაიწყო, თამაზ ნადარეიშვილთან ჩავწერე ინტერვიუ და მითხრა, ჯერ კიდევ 1987 წელს, გაგრაში, მიტინგზე გამოვედი და ქართველებს მოვუწოდე, შეიარაღებულიყვნენ, რადგან თავის დაცვა მოგვიწვედაო. სანამ ომი დაიწყებოდა, 1987-88 წლებში, აფხაზები სანგრებს თხრიდნენ და ემზადებოდნენო. ყველაფერი ეს, რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული და ბოლოს, აღმოჩნდა, რომ რუსეთი უფრო გადამწყვეტ როლს თამაშობდა ამ ომში, ვიდრე – თავად აფხაზები. რუსეთის ქვედანაყოფები იბრძოდნენ ტამიშის დესანტის დროს, აბა, სად ჰყავდათ აფხაზებს გემები?!. რუსული დესანტი გადმოსხეს, რუსული ხომალდები შემოდიოდნენ თითქმის ყოველ ღამე, თორემ მხოლოდ აფხაზები რომ ყოფილიყვნენ, ძალიან ცუდი სათქმელია, მაგრამ ჩვენ აფხაზურ ძალას ნამდვილად დავამარცხებდით. თავიდანვე ამბობდნენ ბიჭები, ჩვენ ომი აფხაზებთან კი არა, რუსეთთან გვაქვსო. ისინი რუს ჯარისკაცებს პირისპირ უყურებდნენ...

– დღეს კი გალში, ქართულ ენაზე სწავლა აიკრძალა და რუსეთი „რბილ ძალას“ აძლიერებს ანუ აფხაზეთს დღითიდღე ვკარგავთ. ასე არაა?

– ეს ძალიან მტკივნეული საკითხია. ვისარგებლებ შემთხვევით და ვიტყვი, 2014 წლის ბოლოს ვიყავი ტყვარჩელში, ერთ-ერთ სკოლაში, სადაც ქართველები სწავლობენ. რომ შევედი და ბავშვებს გამარჯობა ქართულად ვუთხარი, ვერ გაბედეს ქართულად მოსალმება და რუსულად მომესალმნენ. არადა, რომ შევედი, ქორეოგრაფი ქართულ ცეკვებს ასწავლიდა და უცებ დაიფანტნენ, თითქოს მტრის დესანტი შესულიყო, ისეთი რეაქცია ჰქონდათ. მერე, სკოლის დირექტორმა მითხრა, აფხაზურმა მხარემ გაიგო, რომ ქართულ ცეკვებს ვასწავლით, მოვიდა ე.წ. განათლების სამინისტროს წარმომადგენელი და გვთხოვა, იქნებ, ჩუმად ასწავლოთ ისე, რომ არავინ გაიგოს ანუ რუსეთის ყურამდე არ მივიდესო. მერე მასწავლებლები მიყვებოდნენ, ბავშვები ქართულ ენას შინ, ღამ-ღამობით, ჩუმად სწავლობენ, რადგან სკოლაში წიგნი ვერ მოაქვთო... რომ მანახეს, როგორი სახელმძღვანელოებით მეცადინეობდნენ ბავშვები, გული მომიკვდა, საერთოდ ნაწერი აღარ ემჩნეოდა. ჩავიწერე, რამდენი სახელმძღვანელო სჭირდებოდათ – ქართულის, ისტორიის... ჩამოვიტანე ეს ინფორმაცია და ვთხოვე განათლების სამინისტროს, მე გადავიტან-მეთქი, მქონდა ამის საშუალება, რომ ჩუმად გადამეგზავნა წიგნები. განათლების სამინისტრომ სახელმძღვანელოები არ მომცა. ასეთი დამოკიდებულება იყო და რამდენიც უნდა ვამტყუნოთ რუსეთი და თუნდაც აფხაზები, ჩვენ რომ მტყუანები ვართ, ალბათ, ამ დონეზე, ისინი არ არიან დამნაშავეები!

სამართალი
№35 29 სექტემბერი 2021 წ

ცნობილმა ქართველმა კარდიოლოგმა ცოლი მოკლა

ბათო ჯაფარიძე

მათ, რომლებსაც საბჭოთა კავშირში მოუწიათ ცხოვრება, აუცილებლად ემახსოვრებათ პატარა შუშის ბოთლში ჩაყრილი ყვითელი ბურთულები, რომლებიც ძალიან გემრიელი იყო და ბავშვებისთვის ვიტამინების როლს ასრულებდა. ამ ვიტამინებს პატარები სიხარულით მიირთმევდნენ და მშობლები იძულებულნი იყვნენ, ისეთ ადგილას დაედოთ, ბავშვებს იოლად ვერ მიეგნოთ და დიდი ოდენობით არ ეჭამათ...

ექიმის აღსარება და გამოძიების დეტალები

იყო საქართველოში ცნობილი კარდიოლოგი, რომლის მეუღლეც უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. დაქვრივებულმა მეორე ცოლად 30 წლით უმცროსი ქალი მოიყვანა. ისტორია, მართლაც, საოცარი გახლდათ – ქალმა ახალგაზრდა ასაკში გააჩინა ბავშვი, რომელსაც გულის თანდაყოლილი დაავადება ჰქონდა და ხელს ერთი ექიმიც არ ჰკიდებდა. საბოლოოდ, ქალი ცნობილ კარდიოლოგთან მოხვდა, მან ყურადღებით გასინჯა ბავშვი და თქვა, რომ გარისკავდა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ბიჭი გადარჩა, ქალს კი, სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა – ქმარმა ხომ იმიტომ მიატოვა, რომ ავადმყოფი ბავშვის წუწუნის ატანა ვერ შეძლო. შემდეგ, ექიმსა და პაციენტის დედას შორის უხილავი ძაფები გაიბა, ისინი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ და საბოლოოდ, შეუღლდნენ კიდეც. ქალს ეტყობოდა, რომ თავისი შვილის მხსნელი თავდავიწყებით უყვარდა, კაცი კი ამაყობდა ახალგაზრდა ცოლით. ამ ამბიდან ოთხი წლის შემდეგ, კარდიოლოგს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, ვერაგი დაავადება იმდენად სწრაფად გავრცელდა, ორ თვეში, მთასავით კაცი ლოგინად ჩააგდო და უკანასკნელ დღეებს ითვლიდა... ქალი სამსახურში დადიოდა, ხოლო 6 წლის შვილი მამინაცვალთან რჩებოდა ხოლმე.

„ეს ისტორია საინტერესო არ იქნებოდა, რომ არა უბედური შემთხვევა. ერთ დღეს, შინ დაბრუნებულმა ქალმა შვილი უგონოდ ნახა. ეგონა, რომ ბიჭი გარდაცვლილი იყო, მაგრამ სასწრაფოში მაინც დარეკა. ქმარი წამლებით გახლდათ გაბრუებული და, პრაქტიკულად, ვერ აზროვნებდა. თითქმის უიმედო ბავშვი ექიმებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს და რადგან სახეზე მწვავე ინტოქსიკაცია იყო, მუცლის ღრუს ამორეცხვა სასწრაფოს მანქანაშივე დაიწყეს. ამის მიუხედავად, პატარა კლინიკაში კომატოზურ მდგომარეობაში შევიდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ბავშვისთვის შესაბამისი პროცედურების ჩატარების პარალელურად, ჩატარდა იმ პრეპარატების ანალიზი, რომელიც ბავშვის მუცლის ღრუდან ამოიღეს. დასკვნა ერთჯეროვანი იყო – პატარას დიდი ოდენობით ის ძლიერმოქმედი პრეპარატები ჰქონდა მიღებული, რომელსაც მამინაცვალი სვამდა. დედამ გაოცებისგან პირი დააღო, არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ ბავშვს წამლები აეღო და დაელია, ერთადერთი, ყვითელ ვიტამინებს ეტანებოდა, მაგრამ ავუხსენით, რომ დიდი ოდენობით არ შეიძლებოდა მათი დალევა და ხელს არასდროს ჰკიდებდაო. ვერსია, რომ ბავშვისთვის, შესაძლოა, ვინმეს ძალით მიეცა წამალი, მაშინვე გამოირიცხა. ჯერ ერთი, ბავშვს დაზიანება არ ეტყობოდა და მეორეც – სახლის კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი, ქალმა გასაღებით გააღო და საკეტს რაიმე კვალი არ ეტყობოდა, თანაც იმის მიუხედავად, რომ კარდიოლოგი მძიმედ იყო ავად, ისე ნამდვილად არ იყო, შინ უცხო ადამიანის შესვლა ვერ გაეგო და, მით უმეტეს, ბავშვისთვის წამლების ძალით მიღებას ვერ მიმხვდარიყო.

გამოდის, მოხდა რაღაც, რამაც ბავშვი აიძულა, ეს ნაბიჯი გადაედგა. სამართალდამცავები ბაღში წავიდნენ.

„ბაღში პედაგოგებმა მხრები აიჩეჩეს, არაფერი მომხდარაო, მაგრამ ბავშვებმა დაიწყეს ტიტინი, გუშინ ბიჭს საჭირო ოთახში უნდოდა, ვერ მიასწრო, ჩაისველა და მასწავლებელმა დასცინაო. ახლა ის იყო გასარკვევი, შეიძლებოდა თუ არა, ეს დაცინვა გამხდარიყო ბავშვის სუიციდის მცდელობის მიზეზი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საქმეში ფსიქოლოგებიც ჩაერთნენ და კატეგორიულად განაცხადეს, რომ აღნიშნულ ინციდენტს არ შეეძლო ბავშვის ფსიქიკაზე ისე ემოქმედა, რომ მას თვითმკვლელობა გადაეწყვიტა. პირველ რიგში, ეს იყო ასაკი ანუ 6 წლის ბავშვი სუიციდზე, უბრალოდ, არ ფიქრობს და, მით უმეტეს, წამლებით სუიციდზე. ელემენტარულად, ბავშვს ის უნდა სცოდნოდა, რომ ბევრი წამალი მომაკვდინებელი და საზიანოა, რაც გამორიცხული იყო.

გამოძიება ჩიხში შევიდა, ერთადერთ იმედად ბავშვი რჩებოდა ანუ მისი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა, მაგრამ არც უარესდებოდა და ექიმები ამბობდნენ, აუცილებლად გადავარჩენთო. სწორედ მას უნდა ეთქვა, რა მოხდა სინამდვილეში, თუმცა...

„მომხდარიდან სამი დღე იყო გასული, როცა განყოფილებაში კარდიოლოგმა დარეკა და მიმქრალი ხმით გვითხრა, ჩემმა მეუღლემ თავი მოიკლაო. ეს ნამდვილი შოკი იყო და რაღა თქმა უნდა, შემთხვევის ადგილზე გავედით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

როგორც კარდიოლოგმა გვითხრა, დაურეკეს და უთხრეს, რომ ბიჭი დაიღუპა. მეუღლემ ეს ვერ აიტანა და ფანჯრიდან გადახტა. სამართალდამცავები ძალიან გაბრაზდნენ, რადგან მედპერსონალი უმკაცრესად ჰყავდათ გაფრთხილებული, რომ თუ ბავშვი დაიღუპებოდა, ჯერ მათთვის უნდა ეთქვათ და მერე – მშობლებისთვის. ამიტომ, ერთ-ერთი ოპერმუშაკი საავადმყოფოში წავიდა, დანარჩენები ადგილზე დარჩნენ. საავადმყოფოდან თანამშრომეელი მალე დაბრუნდა და გაოცებულმა თქვა – ბავშვი ცოცხალია და არც საავადმყოფოდან დაურეკავს ვინმესო ანუ ვიღაცამ შეგნებულად იცრუა, რაც ნამდვილად მოულოდნელი იყო. გადაამოწმეს და... ზარი მართლაც იყო განხორციელებული, ოღონდ ქუჩის ავტომატიდან ანუ ქალი მოატყუეს და ვინც ეს გააკეთა, ზუსტად იცოდა, რომ მისი ფსიქიკა ამას ვერ გაუძლებდა და ფანჯრიდან გადახტებოდა.

მეორე დღეს ექსპერტების დასკვნაც დაიდო – ქალს ჰქონდა რამდენიმე სისხლჩაქცევა, რომელიც მანამდე იყო მიყენებული, სანამ ფანჯრიდან გადააგდებდნენ. ჰო, გადააგდებდნენ, რადგან ექსპერტები ასპროცენტიანი სიზუსტით ამბობდნენ, რომ ქალი გადააგდეს, თვითონ არ გადავარდნილა. ეს იმიტომ, რომ ფანჯრის რაფაზე არ იყო ნაფეხურები და რაც მთავარია, ფანჯარასთან არ იდგა სკამი ანუ თუ ქალი რაფაზე ასვლას შეეცდებოდა, გვარიანად უნდა ეწვალა და ნაფეხურებით იქაურობა დაესვარა.

ცხადი იყო, რომ ოჯახის უფროსმა ყველაფერი იცოდა და მალავდა. წესითა და რიგით, მას შიში არ უნდა ჰქონოდა, რადგან ყველაზე თამამი პროგნოზითაც კი, ნახევარ წელზე მეტს ვერ იცოცხლებდა. სამართალდამცავები მის დასაკითხად კი არა, დასაკავებლად წავიდნენ. კარდიოლოგმა ერთი კი გაიბრძოლა, მაგრამ შემდეგ ექიმების მიყვანა ითხოვა და საინტერესო ამბავიც მოყვა.

„ბუნებით მესაკუთრე ვარ. ცხოვრებაში რაც მომეწონება, ან ჩემი უნდა იყოს, ან არავისი. ასე იყო ჩემი მეორე ცოლის შემთხვევაშიც, დანახვისთანავე მომეწონა და ბავშვსაც ოპერაცია მხოლოდ იმის გამო გავუკეთე, რომ ის უფრო ხშირად მენახა. არ მეგონა, თუ გადარჩებოდა, მაგრამ გადარჩა. 30 წელი სხვაობა რაც არის, ახსნა არ გჭირდებათ. როცა სიმსივნის დიაგნოზი დამისვეს, მივხვდი, ადრე თუ გვიან, ჩემი სიკვდილის შემდეგ, ჩემი ცოლი ქმარს თუ არა, საყვარელს აუცილებლად ნახავდა. ეს ვერ ავიტანე, ამ აზრს ვერ შევეგუე და გადავწყვიტე, მომეკლა. რაც შეეხება ბავშვს, კარგი ბავშვია, უჩემოდ და დედამისის გარეშე, უბრალოდ, დაიღუპებოდა და მისი მოკვლაც ჰუმანური მიზნებით განვიზრახე. ჩემი წამლები წყალში გავხსენი, ყვითელი ბურთულები მივეცი, დალიე, ვიტამინებია-მეთქი და ის ხსნარი დავაყოლებინე. ახლაც მიკვირს, როგორ გადარჩა. მეორე ეტაპი ცოლის მოშორება იყო. მე პირველი ქორწინებიდან გოგო მყავს, მისი ქმაარი კი გაქნილი კრიმინალია. მას შევუთანხმდი, თუ ცოლს მომაშორებ, ყველაფერი შენ დაგრჩება-მეთქი. დამთანხმდა და ზარიც მან განახორციელა, თუმცა ცოლმა გადამოწმება დააპირა, მაგრამ მე ცოტა გავართე, შემდეგ კი სიძეც მოვიდა, ჯერ გათიშა, მერე ფანჯრიდან გადააგდო. ვნანობ თუ არა ჩადენილს? ისეთ მდგომარეობაში არ ვარ, სინანულისთვის დრო დამრჩეს“, – ეს არის ექიმის „აღსარება“.

მისი სიძე „აღსარებიდან“ ერთ საათში დააკავეს და სასამართლომ 15 წელი მიუსაჯა, კარდიოლოგს კი ვერაფერი მიუსაჯეს – სასამართლომდე, საკანში გარდაიცვალა.

სხვათა შორის, მის მიერ მიცემული ჩვენება კვლევის საგანი გახდა და არაერთმა ექიმმა აღიარა, რომ ადამიანის ტიპი – „მესაკუთრე“ სათანადოდ არ იყო შესწავლილი.

რაც შეეხება პატარა ბიჭს, ის დედის ძმამ წაიყვანა გასაზრდელად და დღეს... საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი კარდიოლოგია.

მკვლელობა პლაჟზე

ბათო ჯაფარიძე

ვინ არის ქალი, რომელმაც ქმარი სიცოცხლეს პურის საჭრელი დანით გამოასალმა

ლგბტ თემი – ეს ტერმინი ჩვენმა მამებმა და დედებმა არ იცოდნენ, არც – ბებიებმა და ბაბუებმა... განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებს განსხვავებულად კი მოიხსენიებდნენ, მაგრამ მაშინ ეს უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა და უბრალოდ, ყველა მალავდა. პრაიდის ჩატარებაზე საუბარი კი არა, ფიქრიც კი ზედმეტი იყო... საქართველოს სისხლის სამართლის ისტორიაში, ტერმინი – „განსხვავებული ორიენტაცია“ ოფიციალურად 1983 წელს დამკვიდრდა, თუმცა კიდევ რამდენიმე წელი გავიდა, სანამ გამოიყენებდნენ. საქმეს გრიფით „საიდუმლო“ სწორედ ამის გამო დაედო და რომ არა დღევანდელი რეალობა, ალბათ, ისევ საიდუმლო გრიფი ექნებოდა.

„1983 წელს, გაგრაში, ცოლ-შვილთან ერთად ვისვენებდი. სანაპიროზე ვიყავი გასული და, დაახლოებით, 300 მეტრში ჩოჩქოლი ატყდა. თავიდან მეგონა, ვიღაც დაიხრჩო-მეთქი, მაგრამ მალე ხმამ მოაღწია. ხალხი ყვიროდა – „მოკლეს, მოკლეს“. ბავშვები ცოლს დავუტოვე და ასე, ტრუსების ამარა გავიქეცი შემთხვევის ადგილისკენ. იქ მისულს, 130-140 კილომდე მამაკაცი დამხვდა გაშოტილი და გულთან ახლოს დანის ტარი მოუჩანდა. პირველი, რაც გავიფიქრე, მამაკაცის მოკლულია, ქალი ასე ძლიერად ვერ დაარტყამდა-მეთქი, ამიტომ იქ მყოფები მოვათვალიერე, საეჭვო ვერავინ ვნახე და შემთხვევის ადგილის დაცვა დავიწყე, კვალი რომ არ წაშლილიყო. მილიციის თანამშრომლებიც მალე მოვიდნენ და იქაურობას გამარიდეს, ვერ დაიჯერეს, რომ ტრუსებში გამოწყობილი დამსვენებელი მათი კოლეგა ვიყავი, თუმცა მალე ჩემი მეგობარი გამომძიებელიც მოვიდა და, რაღა თქმა უნდა, ჩემი დანახვა გაუხარდა. მთხოვა კიდეც, ეგებ, ხელი წამიკრა, დამეხმაროო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილი სატვირთო მანქანის მძღოლი იყო და გაგრაში ცოლთან ერთად ისვენებდა. წყვილს შვილი არ ჰყავდა, ოჯახიც ასაკში შექმნეს და როგორც შემდეგ გაირკვა, შვილის ყოლა დიდად არც კაცს სურდა და არც – ქალს. გაგრაში ისინი ცოლის დაქალს შეხვდნენ, მაღაზიაში ძეხვი, ყველი, პური და ლიმონათი იყიდეს, სანაპიროზე რომ „წაეპიკნიკათ“. დაკითხეს ცოლი და დაქალი, ორივემ ერთნაირი ჩვენება მისცა, კაცი სანაპიროზე დარჩა და პროდუქტის დაჭრა სწორედ იმ დანით დაიწყო, რომლითაც მოკლეს. ქალები ზღვაში შევიდნენ, იქიდან რომ ამოვიდნენ, ასეთი სურათი დახვდათ. დანის ტარზე ანაბეჭდი არ იყო და რაც ყველაზე საინტერესოა, იქვე, 5-6 მეტრში მყოფი სხვა დამსვენებლები ამბობდნენ, რომ ხმაური არ გაუგიათ, არც რამე საეჭვო დაუნახავთ, მხოლოდ მაშინ მიიხედეს, როცა ქალებმა კივილი ატეხეს.

მეორე დღეს, ექსპერტმა თქვა, რომ დანას პირდაპირ გულში ჰქონდა გავლილი და გარდაცვლილი დაყვირებას კი არა, ამოსუნთქვასაც ვერ მოასწრებდა. ექსპერტის მტკიცებითვე, მკვლელი ძლიერი მაამაკაცი იყო, რომელმაც ზუსტად იცოდა, სად და როგორ უნდა დაერტყა.

წესისამებრ, გადაამოწმეს გარდაცვლილის ახლოს მყოფი ყველა დამსვენებელი და მათ შორის ნასამართლევი არავინ იყო. სამაგიეროდ, გარდაცვლილის მეუღლე აღმოჩნდა ნასამართლევი და თანაც რისთვის – სხეულის მძიმე დაზიანებისთვის. მას ოთხი წელი ჰქონდა მოხდილი...

„ქალი სხვას სხეულის მძიმე დაზიანებას რომ მიაყენებს და რაც მთავარია, ამის გამო 4 წელს მიუსჯიან, უკვე საინტერესოა. ამიტომ, ქვრივის დაკითხვას დავესწარი და ის საქმეც გამახსენდა, თავის დროზე, ყველა სამართალდამცავი სინანულით რომ საუბრობდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მოკლედ, ეს ქალბატონი გათხოვებამდე თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ერთ-ერთ კორპუსში, პირველ სართულზე ცხოვრობდა. ერთ საღამოს დაინახა, როგორ ცდილობდა ორი ახალგაზრდა ბიჭი გოგონასთვის ტანსაცმლის შემოხევას, არც დაფიქრებულა, ცომის გასაბრტყელებელი ჯოხი აიღო და ბიჭებს გაუვარდა. ისინი ქალის დანახვამ დააბნია, თუმცა თავად ქალბატონი არ დაიბნა და ორივეს საკმარისზე მეტი მოხვდა. მერე, როგორც ხდება ხოლმე, ბიჭებს მფარველები გამოუჩნდათ, ქალს არავინ მოუსმინა და საბოლოოდ, ისე გამოიყვანეს, რომ თავს სწორედ ეს ქალი დაესხა მშვიდად მიმავალ ახალგაზრდებს. სასამართლომაც 4 წელი გამოიტანა და რაც მთავარია, ეს ვადა სრულად მოახდევინეს. მერე, ციხიდან გამოსული, არცერთმა სამსახურმა ახლოს არ გაიკარა და ქალმა მუშაობა მშენებლობაზე დაიწყო. მომავალი მეუღლეც იქ გაიცნო, მტვირთავად მუშაობდა და ცოლად მხოლოდ იმის შემდეგ გაჰყვა, რაც პირობა ჩამოართვა, რომ შვილების ყოლაზე პრეტენზია არ ექნებოდა.

გამოძიება ჩიხში შევიდა. გარდაცვლილს ყველა დადებითად ახასიათებდა – არ ჰყავდა მტრები, უწყინარი კაცი იყო, საკმაოდ ნორმალური შემოსავალი ჰქონდა და ბედს არ უჩიოდა. ცოლზე გიჟდებოდა, ისე უყვარდა და მუდმივად ცდილობდა, ესიამოვნებინა. ქალზე ერთი მეზობელი ან თანამშრომელი ვერ ამბობდა, რომ ვინმესთან ფლირტი ჰქონდა. მეტიც, როცა მშენებლობაზე ქალს ერთმა მუშამ უხამსი კომპლიმენტი გაუბედა, ქალმა თავზე აგური ძალიან მშვიდად დააფშვნა.

რაც მთავარია, სამართალდამცავებს ღრმად სწამდათ, რომ გარდაცვლილი მკვლელს იცნობდა, რადგან არათუ ახლოს მიუშვა, არამედ, დანაც მიაწოდა და რაც მთავარია, მისგან სასიკვდილო დარტყმას არ ელოდა. საქმე თბილისს გადასცეს და ეს იმიტომ, რომ საკურორტო სეზონზე მკვლელობა განსაკუთრებული შემთხვევა იყო.

„ერთადერთი დადებითი ის იყო, რომ საქმის შესახებ გადმოცემით არ ვიცოდი, მეც იქ ვიყავი, მაგრამ ახალ სამხილებს ხომ ვერ მოვიფიქრებდი? ვიჯექი და თავს ვიმტვრევდი, ვის და რატომ შეიძლებოდა მოეკლა ეს კაცი. მეტიც, ბოლო სამი რეისი, რომელიც მან გააკეთა, მეც გავიარე, იმ ადგილებში ჩავედი, სადაც ტვირთი დაჰქონდა, შევხვდი მათ, ვისთანაც კონტაქტი ჰქონდა და არაფერი, საერთოდ არაფერი. ამიტომ, გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ დამეკითხა მისი მეუღლე და სამსახურში მივაკითხე. ჩავთვალე, რომ გარეთ უფრო მარტივად გამოვიდოდა საუბარი, ვიდრე – შინ, სადაც დარწმუნებული ვიყავი, კედელზე კაცის სურათი ეკიდა და სანთელი ენთო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მშენებლობაზე მისულ გამომძიებელს თვალში მოხვდა, როგორ მარტივად დაატარებდა ქალი ცემენტით სავსე სათლებს კიბეზე და როგორ მარტივად იქნევდა ქაფჩას. საუბარმა ახალი არაფერი მოიტანა და გამომძიებელმა იმდენი ქნა, ქალს შინ თავი ძალით დააპატიჟებინა, ჩაიზე. სახლში ახალი არაფერი იყო: დიდი სურათი, ოღონდ „სერვანდზე“ და არა – კედელზე. ბინიდან გამოსულ სამართალდამცავს ეზოში ეულად მყოფი მოხუცი ქალისკენ გაუწია გულმა. ახლაც ასეა, თუ ეზოში პენსიონერია, მან ყველაფერი იცის და ყველაფერს ამჩნევს, თანაც ეს პენსიონერი არ ახსოვდა.

„საავადმყოფოში ვიწექი, როცა ეს ამბავი გავიგე, ახლა გამოვედი. მაინც მგონია, რომ ამ ქალის მეგობარი ქალია საქმეში გარეული. სანამ საავადმყოფოში დავწვებოდი, წინა დღით, კაცი შინ ღამით დაბრუნდა და ის დაქალი, ნახევრად შიშველი, გარეთ კინწისკვრით გამოაგდო. რა არ მოეწონა, არ ვიცი, მაგრამ ეს მშვიდი ადამიანი ბოლო ხმაზე უყვიროდა, აქ თუ კიდევ გნახავ, მოგკლავო“, – მშვიდად ამბობდა მოხუცი.

ეს რაღაც ახალი იყო. გამომძიებელი ქვრივის მეგობართან წავიდა. მან კონფლიქტი ვერ უარყო, თუმცა თქვა, ის იდიოტი ეჭვიანობდა, ჩემს ცოლთან რატომ წევხარო. ერთოთახიან ბინაში, სადაც ერთი ლოგინი დგას, ორი ქალი რომ დაწვეს, დანაშაული და გასაკვირიაო?

„სულ დავიბენი. ქალზე ეჭვიანობა მანამდე არც პრაქტიკაში შემხვედრია და სიმართლე გითხრა, არც ფიქრად გამივლია. სასწრაფოდ ექიმებთან გავიარე კონსულტაცია და დამიდასტურეს, რომ ასეთი წყვილები მსოფლიოში არსებობენ და საქართველოშიც აუცილებლად იქნებოდნენ, ოღონდ ჩუმად, გაუხმაურებლად. შემდეგ ის გამახსენდა, რა მარტივად დაატარებდა გარდაცვლილის მეუღლე, ლამის 25-კილოიან „ვედროებს“ და მივხვდი, მამაკაცივით ძლიერად დანის დარტყმასაც შეძლებდა, მაგრამ სიზუსტე? სად მშენებელი და სად – ანატომია?“ – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ქვრივის ისტორია ახლიდან გაქექეს და აღმოაჩინეს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, უშედეგოდ ცდილობდა სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარებას. როგორც გაირკვა, საგნებს ზედმიწევნით სწავლობდა, მაგრამ მაშინ სამედიცინოზე მოსაწყობად მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი.

„ორივე ქალი დავაკავეთ და ქვრივი თუ მაგრად იდგა, მისი დაქალი მალე გატყდა. ერთადერთ რამეს ითხოვდა, ოღონდ ერთ საკანში ჩაგვსვით და ყველაფერს ვაღიარებო. ნამდვილი შოკი იყო – ქალები ერთმანეთის სიყვარულში გამოტყდნენ და მაშინაც, როცა რეისიდან მოულოდნელად დაბრუნებულმა ქმარმა კარი შეაღო, შიშვლებს მიუსწრო და იმიტომაც გამოაგდო. მკვლელობა კი დაუგეგმავად მოხდა. ცოლ-ქმარი დასასვენებლად წავიდა და ქალმა საყვარელ ქალს ჩააკითხა, სანაპიროზე შეკამათდნენ და ცოლმა ქმარს ერთი ზუსტი დარტყმით დანა გულში გაუყარა, მერე მშვიდად გავიდნენ სანაპიროზე და ხუთ წუთში დაბრუნდნენ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სასამართლომ დანაშაულის დაფარვისთვის, დაქალს ოთხი წელი მიუსაჯა, ქმრის მკვლელობისთვის კი ქვრივი 12 წლით გაისტუმრეს გისოსებს მიღმა.

ვინ მოკლა ცნობილი ექიმი და რატომ მოიკლა თავი გარდაცვლილის ქალიშვილმა

სისხლიანი დრამის ექსკლუზიური დეტალები

ბათო ჯაფარიძე

დღესაც ასეა – როცა საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს სამშობლოდან ამანათს უგზავნიან, მასში აუცილებლად დებენ სხვადასხვა სუნელს, რათა ქართული გემო იქ, უცხო ქვეყანაშიც იგრძნონ. სწორედ ქართული სუნელით დაიწყო ისტორია, რომელსაც საოცარი ფინალი ჰქონდა. ფინალამდე კი გამომძიებლებს არაერთი ღამის გატეხვა მოუხდათ.

„არის მოსკოვში კორპუსი, რომელსაც „მედიკების“ კორპუსს ეძახიან. ის კომუნისტების დროს აშენდა და წარჩინებული ექიმები შეასახლეს. ამ კორპუსში ცხოვრობდა ჩემი მეგობარი, სოსო სურგულაძეც, მასაც ერგო ბინა და ძალიან ბედნიერიც იყო. მეუბნებოდა კიდეც, ახალმოსახლეობა რომ მექნება, უნდა ჩამოხვიდეო. 1983 წელი იდგა და არ ჭირდა მაშინ ფრენა. ჰოდა, გადავიდნენ ახალ სახლში და მეორე დღეს, სოსოს ცოლი მირეკავს, დაიჭირეს შენი მეგობარი, მკვლელობას აბრალებენო. გავოცდი, სამსახურში მივლინება გავაფორმე, შევუთანხმდი რუს კოლეგებს და მეორე დღესვე მოსკოვში ვიყავი. ყველაზე საგანგაშო ის იყო, რომ სოსო სურგულაძეს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ, მსოფლიოში ცნობილი ექიმის, არაერთი ნაშრომის ავტორის, ონკოლოგ ანატოლი სავუშკინის მკვლელობას ედავებოდნენ“, – გვიყვება რეზონანსულ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მაშინ, როცა მთელი კორპუსი ახალმოსახლეობას ზეიმობდა, გარდაცვლილი ექიმის ცოლი მეზობლებთან იყო, შამპანურს წრუპავდა და ქმრის დაბრუნებას ელოდა. როცა ქმარი არ გამოჩნდა, ქალი შინ წავიდა და მისაღებში, ჭაღზე, საკუთარი ჰალსტუხით ჩამოკიდებული ქმარი ნახა. სამართალდამცავებმა არ დაიჯერეს, რომ ასეთი წარმატებული ექიმი, რომელსაც არაფერი აკლდა, თავს მოიკლავდა. შინ იყო ექიმის 17 წლის ქალიშვილიც, რომელსაც ეძინა და არაფერი გაუგია. ექსპერტიზამ დაადასტურა – სავუშკინი ჯერ გაგუდეს, შემდეგ ჩამოკიდეს. ექსპერტებმა ისიც თქვეს, რომ გარდაცვლილს პერანგზე რაღაც ბალახების კვალი ჰქონდა ანუ ის, ვინც მას კიდებდა, ხელები ამ ბალახებით ჰქონდა დასვრილი. ექსპერტიზის ბიუროში ერთი კავკასიელიც მუშაობდა, რომელმაც სუნზე უცხო სუნელი იცნო და თქვა, იმ კორპუსში თუ ვინმე კავკასიელი ცხოვრობს, ეჭვმიტანილიც ისააო და... ასე შერჩათ ხელში სოსო სურგულაძე, რომელსაც შინ ნაირ-ნაირი სუნელები და, მათ შორის, უცხო სუნელიც ჰქონდა.

„პირველი, რაც მოვითხოვე, მეგობართან შეხვედრა იყო. ვუთხარი კიდეც გამომძიებლებს, თუ შევატყობ, რომ მკვლელია, დამიჯერეთ, ხელს არ დავაფარებ-მეთქი და მართლა არ დავაფარებდი. შემიშვეს საკანში და შევხედე თუ არა, შვებით ამოვისუნთქე. არ ჰგავდა სოსო მკვლელს და არც თამაშობდა – მომხდარით გაოგნებული იყო, ვერაფრით გაეგო, რატომ მიიტანეს მასზე ეჭვი და თან მაშინ, როცა გვერდით სადარბაზოში ცხოვრობდა, ახალ სახლში საქართველოდან გაგზავნილ ვარიებს წვავდა და მეზობლებს კახურ „რქაწითელთან“ ერთად აძალებდა. სოსომ არც ის დამალა, რომ წიწილებს ჯერ სუნელებში ზელდა და მერე წვავდა ანუ ხელები მართლაც გასვრილი ჰქონდა სუნელში, მაგრამ სავუშკინის ბინაში კი არა, მის სადარბაზოშიც კი არ იყო ნამყოფი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გარდა იმისა, რომ მეგობრის უდანაშაულობაში დარწმუნდა, საქართველოდან ჩასულმა მაძებარმა კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი გაარკვია. მკვლელობაში ეჭვმიტანილმა იმ შვიდი ადამიანის ვინაობა დაასახელა, რომლებსაც საქართველოდან ჩატანილი სუნელები უწილადა. გამომძიებლებმა სწორედ ამ ადამიანების შესწავლა დაიწყეს და ზუსტად ერთ საათში, ეჭვმიტანილთა სია ერთამდე შემცირდა. ვლადიმირ ჟევცოვი მოკლული ექიმის კოლეგა და მეგობარი იყო. ისინი ერთ კურსზე სწავლობდნენ, ბინაც ერთდროულად მიიღეს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჟევცოვი რიგში 15 წელი იდგა, სავუშკინი კი მხოლოდ – 3 და რაც მთავარია, ამ უკანასკნელს ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ჟევცოვს – ორი შვილი, მაგრამ მას უფრო პატარა ბინა ერგო.

სანამ გამომძიებლები ახალ ვერსიაზე მუშაობდნენ, გარდაცვლილი ექიმის 17 წლის შვილი საკუთარ ოთახში მკვდარი ნახეს. ექსპერტიზის დასკვნით, მას დიდი ოდენობით წამალი ჰქონდა დალეული ანუ გოგონამ თავი მოიკლა. ექსპერტებმა ისიც თქვეს, რომ 17 წლის გოგონა სამი თვის ფეხმძიმე იყო. ახალი გარემოების გამო, სამართალდამცავებმა ჟევცოვის ვერსია მიივიწყეს და გარდაცვლილი გოგონას მეგობარი ბიჭის ძებნა დაიწყეს. გოგონას დედამ მხრები აიჩეჩა, არაფერი ვიციო, მაგრამ იმავე საღამოს, ძველი საცხოვრებლის მეზობელ კორპუსში, 23 წლის ბიჭს დაესხა თავს და დანა ორჯერ დაარტყა. ექიმებმა დაჭრილი ახალგაზრდის გადარჩენა შეძლეს, ქალი დააკავეს და მკაცრად დაკითხეს.

„ჩემს გოგოს ეს ბიჭი უყვარდა, არაფრის მაქნისი მუშა, რომელსაც მომავალი არ აქვს. ამიტომ, მე და ჩემი მეუღლე შეხვედრას ვუკრძალავდით, მაგრამ როგორც ჩანს, არ დაიშალეს და აგერ, შედეგიც სახეზეა. მაგის გარდა, ვერავინ აიძულებდა ჩემს შვილს თავი მოეკლა და დანაც იმიტომ დავარტყი. ქმარი მე აღარ მყავს, შვილი და რა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას“, – თქვა ქალმა დაკითხვისას.

გადარჩენილის დაკითხვა ორ დღეში გახდა შესაძლებელი, მან შეყვარებულის გარდაცვალების შესახებ არაფერი იცოდა. გოგოს პირობა მისცა, რომ უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებდა და მერე მათ სიყვარულს წინ ვერაფერი დაუდგებოდა. მართლაც, ბიჭმა იმ დროისთვის თითქმის შეუძლებელი შეძლო და საავიაციო ინსტიტუტში მოეწყო. როცა სტუდბილეთს აიღებდა, მაშინ აპირებდა შეყვარებულის ოჯახში მისვლას. მან არც ორსულობის შესახებ იცოდა და სიკვდილს ძლივს გადარჩენილმა, ლამის თავი მოიკლა.

სამართალდამცავები კვლავ ჟევცოვის ვერსიას დაუბრუნდნენ, თან ისიც აინტერესებდათ, რა გზით ერგო გარდაცვლილ ექიმს ზომაზე მეტი ფართი. ბინების განაწილების განყოფილებაში მშვიდად აუხსნეს, რომ ექიმს ფართი იმ მიზეზით მოუმატეს, რადგან მისმა ცოლმა საბუთი წარადგინა, სადაც ეწერა, რომ იგი ხუთ თვეში, ტყუპის დედა გახდებოდა. გამომძიებლებმა პირი დააღეს, ქალი ექიმებს შეამოწმებინეს და მათი დასკვნით, არც ორსულად ყოფილა უახლოეს წარსულში და არც იმჟამად იყო. გამოდიოდა, საბუთი ყალბი გახლდათ და მას ხელს... ჟევცოვი აწერდა.

„ჩემი ქმარი და ვოვა კურსელები იყვნენ, მეც იქ ვსწავლობდი. ვოვა ჩემზე გიჟდებოდა, მაგრამ მე უფრო პერსპექტიულს გავყევი. სწორედ ამიტომ, ქმარმა მითხრა, ძველი სიყვარულის ხათრით, ამ საბუთს მოგცემს და ფართს მოვიმატებთო. მომცა, თუმცა უანგაროდ არა. მამამისი სიმსივნით იყო დაავადებული და სანაცვლოდ, მისთვის ჩემს ქმარს უნდა ემკურნალა. რა თქმა უნდა, დავთანხმდით“, – ასეთი იყო ქალის ახსნა.

როგორც გაირკვა, ჟევცოვის მამის გადარჩენა ვერ მოხერხდა და თან, ოჯახის წევრის სიკვდილის შემდეგ, ჟევცოვს საცხოვრებელი ფართი შეუმცირეს, მისთვის გადასაცემი ბინა კი... სავუშკინს მისცეს.

ჟევცოვის გარშემო წრე იკვრებოდა. მისი კაბინეტის არაოფიციალური ჩხრეკისას, ისიც გაირკვა, რომ სავუშკინის ქალიშვილი კონსულტაციებზე მასთან დადიოდა და ამის შესახებ ჟევცოვი მშობლებს არაფერს ეუბნებოდა ანუ მან იცოდა გოგონას ორსულობის შესახებ და ყველაფერი ეს, არა მარტო მშობლებს, არამედ, სამართალდამცავებსაც დაუმალა – არასრულწლოვანის ორსულობა მაშინაც კრიმინალი იყო. სწორედ ეს გახდა მისი დაპატიმრების ოფიციალური მიზეზი, არაოფიციალურად კი, სამართალდამცავები მკვლელად თვლიდნენ, თუმცა მტკიცებულებები არ ჰქონდათ.

„ერთადერთი მტკიცებულება ის იყო, რომ სურგულაძეს მისთვის სუნელები ჰქონდა მიცემული და მისი ნაწილაკები გარდაცვლილის სხეულზე იპოვეს. სხვა რამ იყო საჭირო, რაზეც დაკავებული წამოეგებოდა და ის სხვაც ძალიან მალე გამოჩნდა“, -იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამომძიებლებმა დაკავებულს წინ წამლის ფოლგა დაუდეს და უთხრეს, რომ ეს ფოლგა გარდაცვლილი გოგონას ოთახში ნახეს და მასზე სწორედ ჟევცოვის ანაბეჭდები იყო ანუ გოგოს მოწამვლაში დასდეს ბრალი. მეტიც, მარტივად უთხრეს, რომ წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა დახვრეტით დაისჯებოდა. დამფრთხალმა გინეკოლოგმა კოლეგის მკვლელობა აღიარა, თუმცა...

„როცა ყველა ზეიმობდა, მასთან მივედი და ვუთხარი, რომ ქართული სუნელებით კარგი საკვები მოვამზადე და მსურდა, დამეპატიჟებინა. მან კი აგდებულად მომიგო, შენი ადგილი იცოდე, ჩვენ სხვადასხვა სიმაღლეზე ვართო. ამას არ ველოდი, ვეცი და ჰალსტუხი ყელში წავუჭირე. როცა მოძრაობა შეწყვიტა, ავიხედე და ყველაფერ ამას მისი შვილი უყურებდა. ჩუმად მითხრა, მეტის ღირსია, საყვარელ ბიჭზე გათხოვების უფლებას არ მაძლევსო. სწორედ მისი იდეა იყო თვითმკვლელობის გათამაშება და როგორც ვიცი, თავი იმიტომ მოიკლა, რომ საქმრო სხვა გოგოსთან დაინახა ჩახუტებული (მოგვიანებით გაირკვა, ბიჭი ინსტიტუტში ჩაბარებას შემთხვევით გამვლელთან აღნიშნავდა და გზად ყველას ეხვეოდა). ამიტომ, მე ჩემი კოლეგის მკვლელობა აფექტის ნიადაგზე ჩავიდინე, რამდენიმეწლიანი ბოღმა ერთიანად ამოვანთხიე“, – ლუღლუღებდა ჟევცოვი.

საბჭოთა სასამართლომ მას გამოჩენილი ექიმის მკვლელობა არ აპატია და მაინც დახვრეტა მიუსაჯა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „პრომეთეუსის“ შემაჯამებელ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვაჟა სირაძემ და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა, ეკატერინე მაჭავარიანმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „პრომეთეუსის“ შემაჯამებელ კონფერენციაში.

პროექტის დასკვნით ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის ელჩი საქართველოში, კარლ ჰარცელი, საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, დიეგო კოლასი, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის წევრები და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლები.

ღონისძიების მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების მნიშვნელობას და ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ასევე, შეაჯამეს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების როლი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარებაში, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლისა და საზღვრის მართვის გაძლიერების მიმართულებით.

კონფერენციის დასასრულს, მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ევროინტეგრაციის პროცესში არსებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების კუთხით სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი – „პრომეთეუსი“, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ორგანიზაცია CIVIPOL-ის მიერ განხორციელდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის წევრებთან, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან ერთად, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, გმირთა მოედანზე, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო და მემორიალი გვირგვინით შეამკო.

გმირთა მოედანზე მდებარე მემორიალთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, დაღუპულთა ოჯახის წევრები და ახლობლებიც იმყოფებოდნენ.

წელს სოხუმის დაცემიდან 28 წელი გავიდა. სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. სოხუმისთვის ბრძოლა 1993 წლის 27 სექტემბერს, ქალაქის დაცემით დასრულდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ ინიცირებული გლობალური კამპანიის – „არავინაა უსაფრთხო, სანამ ყველა არ იქნება უსაფრთხოდ“ – ფარგლებში, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი დაიწყო.

ვაქცინაციის პროცესს პირადად დაესწრნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ეკატერინე ტიკარაძე და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, კემლინ ფურლი, რომლებსაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ უმასპინძლა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის მუშაობის სპეციფიკა გააცნო.

ცენტრის ბენეფიციარებს, სპეციალურად ვაქცინაციის მოძრავ ამბულატორიაში, სხადასხვა ქვეყნის მიერ წარმოებული ვაქცინით ნებაყოფლობით ჩაუტარდათ აცრა. მოძრავი ამბულატორია შესაბამისი სამედიცინო საშუალებებით არის აღჭურვილი და უზრუნველყოფს ვაქცინაციის პროცესის, ასევე, შემდგომი პერიოდის მეთვალყურეობის უსაფრთხო გარემოში ჩატარებას.

ვაქცინაციის გლობალური კამპანია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და გაეროს გენერალური მდივნის, ანტონიო გუტიერეშის ინიციატივით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხორციელდება. მისი მიზანია, ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვა.

პოლიციამ თბილისში ბინების გაქურდვის ფაქტები გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.გ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 10 სექტემბერში, ვარკეთილში, მოქალაქის საცხოვრებელ ბინაში ფარულად შეაღწია, სხვადასხვა ნივთი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ დ.გ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისის სხვადასხვა უბანში, არაერთ ბინაში ფარულად შეაღწია და გაქურდა.

სამართალდამცველებმა, დ.გ.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, დანაშაულებრივი გზით დაუფლებული ნივთების ნაწილი და სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

დვალიშვილის სასწაული ვეგასში

UFC-ში მერაბ დვალიშვილმა მორიგი შეხვედრა გამართა და ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა. ქართველმა მებრძოლმა ამჯერად მარლონ მორაეში დაამარცხა, მეტოქე, რომელსაც სპეციალისტები უპირობო ფავორიტად თვლიდნენ. მორაეშმა ფავორიტის სტატუსი ლამის გაამართლა, როცა პირველ რაუნდში, ქართველი ნოკდაუნში გაგზავნა და მხოლოდ იღბლის წყალობით გადავრჩით. მან ვერ შეძლო გაბრუებული ქართველის მოხელთება და საქმის ბოლომდე მიყვანა. მერაბმა ამოისუნთქა, შემდეგ კი თავად შეუტია და ბრძოლა შემოაბრუნა. დვალიშვილის მეტსახელი „მანქანაა“ და ამ შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა, რატომ ეძახიან მას ასე.

„ვინც შაბათ ღამით, UFC-ს უყურა, მიხვდებოდა, თუ რატომ უწოდებენ გუნდელები მერაბ დვალიშვილს The Machine-ს – ის უბრალოდ არ ჩერდება. როცა მეორე რაუნდში, შეხვედრის დასრულებამდე 35 წამით ადრე, ბრძოლა შეწყდა, დვალიშვილს დარტყმებში უპირატესობა 246-34-ზე ჰქონდა. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას The Machine -ს“...

„დვალიშვილი მორაეშის წინააღმდეგ – დაპირისპირება, რომელსაც წლის ბრძოლად დასახელების შანსი ექნება. დვალიშვილი ურთულესი სიტუაციიდან როგორღაც ცოცხალი გამოძვრა და მეტოქე პარტერში დროულად გადაიყვანა. სწორედ ამ დროს, მან ბრძოლის სცენარი შეცვალა და მორაეში ჩაქუჩისებრი მუშტების ცემით, თითქმის გათიშა. მორაეშისთვის ეს მის მეხსიერებაში ყველაზე სასტიკი 5 წუთი იყო. ალბათ, ბრძოლა 50 დარტყმით ადრე უნდა დასრულებულიყო, ვიდრე ეს მოხდა“, – წერს უცხოური მედია.

ზამთრის ოლიმპიადაზე სრული გუნდით

გერმანიის ქალაქ ობერსდორფში, გასულ კვირას, ფიგურულ სრიალში ჩელენჯერის მორიგი ეტაპი დასრულდა. პირველ დღეს, მოცეკვავე წყვილებში, მარია კაზაკოვამ და გიორგი რევიამ მოკლე პროგრამაში 66.95 ქულა დაიმსახურეს და მე-5 ადგილზე იყვნენ. შაბათს კი თავისუფალ პროგრამაში 106.25 ქულა მიიღეს (ჯამში, 173.20 ქულა დაუგროვდათ) და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

აღნიშნულ ტურნირზე ზამთრის ოლიმპიადის ლიცენზიები თამაშდებოდა და ისინი საუკეთესო ოთხეულს უნდა რგებოდა. შესაბამისად, ქართულმა წყვილმა ლიცენზია მოიპოვა და პირველად, ქართული სპორტის ისტორიაში, ჩვენი ქვეყანა პეკინის ოლიმპიადაზე, ფიგურულ სრიალში სრული გუნდით გამოვა. 2022 წლის ზამთრის თამაშებზე საქართველოდან იასპარეზებენ: ვაჟებში – მორის ყვითელაშვილი, გოგონებში – ალინა ურუშაძე, სპორტულ წყვილებში – კარინა საფინა და ლუკა ბერულავა, ხოლო მოცეკვავე წყვილებში – მარინა კაზაკოვა და გიორგი რევია. შედეგად, ჩვენს მოციგურავეებს გუნდურ შეჯიბრშიც მიეცემათ მედლისთვის ბრძოლის შანსი.

ტოჩინოშინმა ბოლომდე იბრძოლა

იაპონიაში სექტემბრის ბაშო დასრულდა და სამწუხაროდ, ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ, იგივე ტოჩინოშინმა დადებითი ბალანსის დაფიქსირება ვერ მოახერხა. ქრონიკული ტრავმის ფონზე, არავის გაკვირვებია, რომ საწყისი 8 ტურის შემდეგ, ტოჩის ბალანსი 2:6-ზე იყო და დარჩენილ 7 ბრძოლაში მას 6 გამარჯვება სჭირდებოდა, რაც წარმოუდგენლად ჩანდა, თუმცა...

ტოჩინოშინმა მოახერხა და ზედიზედ 5 შეხვედრა მოიგი, ბალანსი 7:6-ზე გახადა, თუმცა მომდევნო ორში დასანანი მარცხი იწვნია და საბოლოოდ, ტურნირი 7:8 ბალანსით დაასრულა. დღეის მდგომარეობით, ტოჩი მე-12 მაეგაშირაა და განახლებულ რეიტინგში, უდიდესი ალბათობით, ერთი საფეხურით დაქვეითდება. ამის მიუხედავად, იაპონელები აღიარებენ, რომ ის, რასაც ქართველი აკეთებს, არაადამიანურ ძალებსა და ნებისყოფას მოითხოვს.

გრიგალაშვილი ოქროთი დაბრუნდა

ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, ძიუდოისტთა შორის პირველი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ქართული დელეგაცია აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას არ აპირებდა, მაგრამ ბოლო მომენტში, ოთხი სპორტსმენის გაგზავნა გადაწყდა. 73 კგ-ში – ჯუმბერ მელაძე და 81 კგ-ში – ზაურ დვალიშვილი დებიუტანტები გახლდნენ და მათგან შედეგს არც ველოდით. აი, იმავე 81 კგ-ში – ტატო გრიგალაშვილისგან, მხოლოდ ოქროს მედალი გვინდოდა, ხოლო ამავე წონიდან 90-ში გადასული ლუკა მაისურაძისთვის, ეს ახალ წონაში გამოცდა იქნებოდა.

გრიგალაშვილმა ძალიან დამაჯერებლად იჭიდავა, არცერთ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა და ოქროს მედალი მოიპოვა. რაც შეეხება მაისურაძეს, ახალ წონაში მანაც თამამად იჭიდავა, ფინალამდე მივიდა, იქ კი გამოცდილ აზერბაიჯანელ მეტოქესთან დამარცხდა. ფინალის წაგების მიუხედავად, ეს შედეგი მაისურაძის აქტივში უნდა ჩაიწეროს, რადგან ახალ წონაში, პირველივე ტურნირზე ფინალში ჭიდაობა იოლი ნამდვილად არ არის.

მამარდაშვილი სათადარიგოებში

ესპანეთის პრიმერა დივიზიონის მეშვიდე ტურში მოხდა ის, რასაც სამწუხაროდ ველოდით. „ვალენსიას“ მთავარმა მწვრთნელმა, ზედიზედ ექვს ტურში ძირითად შემადგენლობაში ნათამაშები გიორგი მამარდაშვილი სათადარიგოთა სკამზე დასვა და კარში ჰოლანდიელი იასპერ სილესენი ჩააყენა. მეექვსე ტურში, გიორგის შეცდომების გამო გასული გოლები ესპანურმა მედიამ უყურადღებოდ არ დატოვა, მთელი კვირა ატრიალა და შედეგიც სახეზეა. სიმართლე რომ ვთქვათ, 20 წლის ქართველისთვის ამხელა ყურადღება უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხი იყო და სავარაუდოდ, სწორედ ამის ბრალია ის შეცდომებიც, რომელიც მან დაუშვა. ამის მიუხედავად, გვჯერა, რომ მამარდაშვილს პრიმერაში შანსი კიდევ არაერთხელ მიეცემა, რადგან ციდან ვარსკვლავებს არც სილესენი წყვეტს და აგერ, მეშვიდე ტურშიც ასაღები გაუშვა, თუმცა...

„ყველამ იცის, როგორ მოვიდა მამარდაშვილი ჩვენთან. მან იმ მოლოდინს გადააჭარბა, რომელიც გვქონდა. ბოლო შეხვედრებში, მასზე გარკვეულწილად იმოქმედა დატვირთვებმა და პასუხისმგებლობამ. ის არის ახალგაზრდა, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. ორი მარცხის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ დადგა დრო, როცა სილესენზე უნდა გადავსულიყავით. მან კარგად ითამაშა და რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი, მათ შორის, ბოლო წუთებზე“, – ეს განცხადება „ვალენსიას“ თავკაცმა, ხოსე ბორდალასმა ბოლო ტურის შემდეგ გააკეთა ანუ ის სილესენის თამაშით უკმაყოფილო არ დარჩა.

რონალდუს 125 მილიონი

ფეხბურთი სპორტის სახეობებში ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანია. ვარსკვლავებს მართლაც კოლოსალური ხელფასები აქვთ, თუმცა იმავე ვარსკვლავების ჯამაგირი ახლოსაც ვერ მივა, მაგალითად, NBA-ს ლიდერების ხელფასებთან. გასულ კვირას, დღეს მოქმედ ფეხბურთელთა ათეული გამოქვეყნდა ანუ იმ მოთამაშეთა ხელფასები, რომლებიც ყველაზე მეტს იჯიბავენ. თანხები გადასახადების გარეშეა მითითებული და ნუ გაიკვირვებთ, თუ პირველ ადგილზე ვეტერანი, 36 წლის კრიშტიანუ რონალდუა.

10 მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი მსოფლიოში:

1. **კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი“) – 125 მილიონი აშშ დოლარი;**
2. **ლიონელ მესი (პსჟ) – 110 მილიონი;**
3. **ნეიმარი (პსჟ) – 95 მილიონი;**
4. **კილიან მბაპე (პსჟ) – 43 მილიონი;**
5. **მოჰამედ სალაჰი („ლივერპული“) – 41 მილიონი;**
6. **რობერტ ლევანდოვსკი („ბაიერნი“) – 35 მილიონი;**
7. **ანდრეს ინიესტა („ვისელ კობე“) – 35 მილიონი;**
8. **პოლ პოგბა („მანჩესტერ იუნაიტედი“) – 34 მილიონი;**
9. **გარეთ ბეილი („რეალი“) – 32 მილიონი;**
10. **ედენ აზარი („რეალი“) – 29 მილიონი.**

„ჰოლივუდში“ არეულობაა

იმის გათვალისწინებით, როგორი ვარსკვლავები თამაშობენ ფრანგულ „პარი სენ ჟერმენში“, ამ გუნდს ჰოლივუდს ეძახიან. ჰოდა, სადაც ვარსკვლავები არიან, იქ პრობლემებიც უხვადაა. საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში, გასულ უქმეებზე გამართულ ტურში, გუნდის თავკაცმა, მაურიციო პოჩეტინომ 150 მილიონად შეფასებული კილიან მბაპე მინდვრიდან 88-ე წუთზე გაიყვანა. ფრანგმა შემტევმა უკმაყოფილება არ დამალა, ხოლო როცა სათადარიგოთა სკამზე დაჯდა, კამერებმა მის მიერ თანაგუნდელებისთვის ნათქვამი ფრაზა დააფიქსირეს და გაშიფრეს. როგორც ჩანს, მბაპე თანაგუნდელით, 222 მილიონად ნაყიდი ნეიმარითაა უკმაყოფილო და მან ბრაზილიელის მისამართით, შემდეგი სიტყვები თქვა – „ეს მათხოვარი პასს არასდროს მაძლევს“.

შეგახსენებთ, რომ ორი ტურის წინ, პოჩეტინომ მინდვრიდან ლიონელ მესი გაიყვანა, რამაც არგენტინელი ძალიან გააბრაზა და მან პორტუგალიელ სპეციალისტს ხელიც არ ჩამოართვა. როგორც ევროპული მედია წერს, პოჩეტინო ვარსკვლავურ შემადგენლობას ვერ უმკლავდება და უდიდესი ალბათობით, მას თანამდებობიდან გაუშვებენ, მთავარ მწვრთნელად კი ზინედინ ზიდანს დანიშნავენ.

– გამატარეთ, გამატარეთ! – ვიღაც წითურმა ამერიკელმა საკმაოდ მოურიდებლად მისწი-მოსწია სასეირნო გემბანზე შეყრილი, ახმაურებული ხალხი და როცა კაფანდარა მოხუცი ქალის და მის გვერდით ასვეტილი შუახნის კაცის პირისპირ აღმოჩნდა, გაკვირვებით წამოიძახა:

– ა, ეს თქვენა ხართ, მისტერ ჯიმ?

ჯიმმა მოსული გულგრილად, უსიტყვოდ შეათვალიერა. ქალმა თხელი, ფერდაკარგული ტუჩები გააცმაცუნა რაღაცის სათქმელად, მაგრამ გრძნობამორეულმა უმალ ცხვირსახოცი აიფარა სახეზე. მოხრილი სუსტი მხრები უტოკავდა, იგი უხმოდ ტიროდა.

რადიორეპროდუქტორი კვლავ გადმოსცემდა:

„ქალბატონებო და ბატონებო! დაახლოებით ორი საათის წინ, გათენებამდე, თავისი კაიუტიდან გავიდა და არ დაბრუნებულა ჩვენი გემის ერთ-ერთი მგზავრი – სამოცდაათ წელს მიღწეული ჯენტლმენი. აცვია მსუბუქი ცისფერი კიმონო და საშინაო ფლოსტები. მნახველებს, ვთხოვთ, დაგვდონ პატივი და დაგვირეკონ ტელეფონით – 5-06. ვიმეორებთ ტელეფონის ნომერს:... 5-06. კრუიზის ადმინისტრაცია გიხდით ბოდიშს მყუდროების დარღვევისათვის და წინასწარ – კიდევ მადლობას კეთილი სამსახურისათვის, რომლის გაწევასაც, იმედი გვაქვს, არ დაგვზარდებით“.

მიკროფონმა ერთი გაიტკაცუნა და რეპროდუქტორიც დადუმდა. ერთბაშად ჩამოწოლილი უხერხული სიჩუმე ვერავის დაერღვია. ისმოდა მხოლოდ სვლაშენელებული გემის კორპუსის სიმძიმით მკერდგადახსნილი წყლის თანაბარი შრიალი.

თენდებოდა სადღაც, ბაჰამის არქიპელაგის ნაპირებთან. აისის შუქით აკრიალებული, თვალისმომჭრელად ლურჯი სივრცის თავზე ჯერაც ნაზად ლიცლიცებდა ღამის შემდნარი ნისლი და ცარგვალი, სულ უფრო გამჭვირვალე, მოსარკული, მაღლა და მაღლა მიიწევდა. შტილის მფრინავი სუნთქვა მსუბუქ ნაოჭებად დაჰფენოდა ოკეანის გლუვად აზიმზიმებულ ზედაპირს. ძნელი იყო, თვალი მოგეწყვიტათ წყლის სიღრმიდან ამოცვენილი მფრინავი თევზებისათვის. მზეზე წითლად აბრჭყვიალებული მათი ქერცლიანი ტანი და ნაირფერად ალივლივებული გაფარჩხული ფარფლები მთრთოლვარე ანარეკლებით ხაზავდნენ ოკეანის ლურჯ ზედაპირს და სადღაც, წყლის სიღრმეში ქრებოდნენ.

გემზე გამოფენილ ხალხს ამ სანახაობისათვის არ ეცალა. ყველა უხმოდ მისჩერებოდა მეზღვაურებს, რომლებიც მაშველ კანჯოს ამზადებდნენ ყოველი შემთხვევისათვის. ბაგირებით ჩაკიდებული კანჯო დროდადრო გემის კორპუსს ეხლებოდა და მისი ყრუ ბაგუნი უსიამოვნოდ გაისმოდა სიჩუმეში.

– დიდად ვწუხვარ, მისს, – წითურმა მოხუც ქალს მიაპყრო მზერა და თან მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ზაფრანისფერი მოხერის სვიტრის საყელო მოიხალვათა. გაჟინჟილებული სახე გაოფლიანებოდა, ნასვამი ჩანდა, – ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ყველაფერი ასე სწრაფად მოხდებოდა.

– გული მიგრძნობდა! – ამოიკვნესა ქალმა. მისი უღონოდ ჩამოყრილი ხელები, სადად შეკერილ შავ ქვედატანზე გარკვევით რომ იკვეთებოდა, ნერვულად შეირხა. მარჯვენაში მოქცეულ ცისფერ ცხვირსახოცს გრძელი და გამხდარი, ნასათუთევი თითებით დაუწყო წვალება.

– მე თქვენ მეცნობით, მისტერ! – ნაძალადევად ამოღერღა ჯიმიმ.

– დიახ, სერ! – წითურს ტუჩები თითქოს დამცინავად მოეღრიცა წამით, – რესტორანში თქვენს მეზობელ მაგიდას ვუზიავარ, ცხოვრებით კი „სატურნის“ კლასის კაიუტაში ვცხოვრობ. რა თქმა უნდა, ეს სუპერ-ლუქსი არ არის. თქვენ ხომ სუპერ-ლუქსში ცხოვრობთ, მისტერ?

– თუ შეიძლება, უფრო მოკლედ! – ცივად მოუჭრა ჯიმიმ.

– ო, რატომ ასეთი ტონით, მისტერ?! – წითურს სიბრაზემ სახე აუბრიალა, – შემიძლია ისევ ბარს დავუბრუნდე... ის, რაც რადიოთი მოვისმინე, მაფიქრებინებს, რომ თქვენთვის საჭირო კაცი უნდა ვიყო.

– მისტერ, თქვენ ჩემს მოთმინებას ცდით? – ვეღარ მოერია გულს ჯიმი.

– ჯი-იმ! – უღონოდ დააბაკუნა ფეხი ქალმა და შემდეგ, წითურს დაყვავებით მიუბრუნდა, – ბრძანეთ, მისტერ... მისტერ...

– მაიკლი! – შეაგება წითურმა. იგი გულმოსული და გაბოროტებული ჩანდა. ჯიბიდან აუჩქარებლად, კოლოფის ამოუღებლად ამოაძვრინა სიგარეტი და პირში გაირჭო. ვიდრე ხელს ისევ ჯიბისკენ წაიღებდა, ვიღაცამ კვესი გაუტკაცუნა. რამდენიმე ღონიერი ნაფაზი დაარტყა, ხალხს გადახედა და შორიდან დაიწყო:

– ჩვეულებრივ, ქალბატონებო და ბატონებო, მე ძალიან ადრე გამოვდივარ გემბანზე. ათი წრე მაინც უნდა შემოვიარო ჰაერზე...

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – აღმოხდა ქალს.

ჯიმი დაბღვერილი და კრიჭაშეკრული იდგა.

მაიკლს ამასობაში სასმელი უფრო მოერია და, საერთო ყურადღების ცენტრში მოქცეულს, სახე თანდათან გაეხსნა.

– ამ დილითაც ასე იყო, – ლაპარაკის საღერღელაშლილი წითური სათქმელს აშკარად წელავდა, თითქოს ეს რაღაც სიამოვნებას ჰგვრისო, – ლაცბორტთან ვიღაც ჯენტლმენი დავლანდე, მაშინვე ვიცანი მისტერ ჰენრი... მივესალმე... არადა, ადრე სალამს ვერ ვასწრებდი...

– სად იდგა, რა ადგილას? – იკითხა ვიღაცამ, მაგრამ მაიკლმა აშკარად წაუყრუა.

– პირველი წრე რომ შევკარი, უკვე ტრუსით იდგა კანჯოს კიბეზე... ხელში დახვეული ტანსაცმელი ეჭირა... მისტერ ჰენრი, გავიფიქრე გუნებაში, გცოდნიათ დასვენება და ეგ არი. კანჯოში ჩაწოლას არაფერი სჯობს... იყავი შენთვის, გინდ მარცხენა გვერდი მიუფიცხე მზეს, გინდ – მარჯვენა.

ჯიმმა მძიმედ მოიცვალა ფეხი.

– ღმერთო, ძალა აღარ მყოფნის! – შვილს მიესვენა მკერდზე ქალი.

მაიკლმა კიდევ ამოიღო სიგარეტი. თვითონვე მოუკიდა. უკვე შესამჩნევად ირწეოდა. სახეზე მთვრალი კაცის ყეყეჩური ღიმილი გადაჰფენოდა.

– მეორედ რომ გავუსწორდი ამ ადგილს, მისტერ ჰენრი უკვე ლაცბორტზე იჯდა. ცალი ფეხი – იქით, ცალი – აქეთ, – ენის ბორძიკით განაგრძობდა წითური, – თქვენ რა, მისტერ ჰენრი, ზვიგენების კამპანიაში აპირებთ ბანაობას? ვეუბნები ხმამაღლა, როცა ზედ მივადექი... არ ესმის!.. მეორედ თითქმის ყურში ჩავძახე... ახლა კი ამომხედა და გაიცინა... დიახ, დიახ, გაიცინა და ასე მითხრა: ცუდად ნუ ახსენებთ ზვიგენებს...ზვიგენები იქნებ, ჩვენზე კარგი ჯენტლმენები არიან? – მაიკლმა უსიამოვნოდ ჩაიფრუტუნა, – უცებ მეორე ფეხიც ასწია და... ბაც!

– ჰენრი, ჩემო საბრალო ჰენრი! – ღაპაღუპით გადმოსცვივდა ცრემლები ქალს, – რატომ, რისთვის?..

დაღუპულის მემკვიდრემ, თითქოს ხალხს თვალს არიდებსო, ოკეანის გაშლილ სივრცეზე გადაიტანა მზერა. გაფითრებულ შუბლზე ოფლი გამოეცვარა.

– ჯიმ, რა მეშველება, ჯიმ! – ტირილით ახედა ქალმა შვილს, – ეს ხომ საშინელი უსამართლობაა!.. უღმერთობა!

მოხუცებული ქალი უცებ შეირხა და მოცელილივით გვერდზე გადაქანდა. გულწასულს ვიღაცებმა ხელი შეაშველეს და კაიუტისაკენ წაიყვანეს.

– უკანასკნელი, რასაც თვალი მოვკარი, მისტერ ჰენრის ხელი იყო, – ისევ ალაპარაკდა მაიკლი და შებარბაცებულმა ხმას აუწია, – ხელი და ბრილიანტის ბეჭედი... ძალიან დიდი ბრილიანტი კი იყო...

– გაჩუმდით! – ისტერიულად უყვირა ვიღაც ხნიერმა კაცმა და სალონში გასასვლელი მთავარი კარისკენ გაემართა.

ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო დაშლა. მხოლოდ ჯიმის მახლობლად მდგარნი არ დაძრულან ადგილიდან უბრალო ზრდილობისა თუ უხერხულობის გამო.

– უკაცრავად, მისტერ! – ჩაულაპარაკა ბოცმანმა მაიკლს, – ის კანჯო რომელი იყო?

-აი, მეთერთმეტე ნომერი!

ახალგაზრდა მეზღვაური მარჯვედ ავარდა კიბეზე, კანჯოს სიღრმეში გადაეყუდა და როცა გაიმართა, ხელში დაღუპულის ტანსაცმელი ეჭირა. სანახევროდ დაშლილ, მზეზე ლურჯად მოხასხასე აბრეშუმის კიმონოს ნიავი კალთას უფრიალებდა და ყველამ დაინახა დაგორგლილი ტანსაცმლის შუაგულიდან მკვდარი თევზივით გადმოკიდებული ცალი ფლოსტი.

– რატომ მაშინვე არ იყვირეთ?! – უცებ იფეთქა ჯიმმა და მაიკლს მკერდში ჩააფრინდა, რამდენჯერმე შეანჯღრია, მაგრამ უცებ ხელი უშვა, – მომიტევეთ, მისტერ!

– რა აზრი ჰქონდა?! – სვიტერის სწორება-სწორებით მიუგო მაიკლმა და გესლიანად ჩაიღიმა, – უკვე ზვიგენების სტომაქში იყო თავისი ბრილიანტის ბეჭდით.

– თქვენ საშინელი გულქვა კაცი ყოფილხართ, მისტერ! – წამოიძახა ახალგაზრდა ტურისტმა ქალმა, რომელსაც ტანზე მჭიდროდ მომდგარი ვარდისფერი კოფთა ეცვა.

– მისის, იქნებ, ჩემზე გულქვა და საშინელი ადამიანებიც არიან ქვეყნად?! – მაიკლს თვალები ბრაზით აენთო.

– ამაზე მეტი გულქვაობა იქნება? – არ შეეპუა ქალი, – მისი კაიუტის ფანჯარას ჩაუარეთ და ღამის ბარში ჩახვედით.

– რატომ მისტერ ჯიმს არ ეკითხებით არაფერს, მისის? ის ხომ შვილია, – მაიკლმა კიდევ ერთხელ ჩაიფრუტუნა დაცინვით, – ვითომ ისე ღრმა ძილში იყო წასული?.. სანამ რადიო...

– გაჩუმდებით თუ არა?! – შეჰყვირა აშკარად წონასწორობიდან გამოსულმა ჯიმიმ.

– რა გაეწყობა, მისტერ! – წამწამები არ დაუხამხამებია მაიკლს, – მადლობის მაგიერია... თუმცა, რა, კარგად გიცნობთ!

– ხომ არ გინდათ თქვენც ზვიგენებთან გადაგიძახოთ? – თვალი დაუბრიალა ჯიმიმ.

– არა, მე ისევ ბარი მირჩევნია! – გამომწვევად ჩაიცინა მაიკლმა და გასასვლელისაკენ გაემართა. კართან მისული უცებ შემობრუნდა და ჯიმის ხელების აწევით გამოეთხოვა, – ჩვენ კიდევ შევხვდებით, მისტერ, ყველაფერი წინ არის!

– ჰო, მართლა! – მეუბნება გემის მთავარი ექიმი, როცა მის კაიუტაში კარგა ხნის მეგობრული საუბრის შემდეგ, წამოვდექი. უკვე დაძინების დრო იყო. ექიმმა საწერი მაგიდიდან ბროწეულისფერი დერმატინის ყდა აიღო, შიგ რაღაც ქაღალდები გადაქექა და ერთი ფურცელი გამომიწოდა, – წაიკითხეთ... თქვენთვის, ალბათ, საინტერესო იქნება... იმ მოხუცი მილიონერის კაიუტაში აღმოჩნდა.

თვალი სწრაფად გადავავლე – ეს იყო დაღუპულის უკანასკნელი ბარათის თარგმანი:

„ჯიმ! მე გადავწყვიტე!.. ასე აჯობებს... ამიერიდან ხელ-ფეხი გახსნილი გაქვს... ბოლო საუბარმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ზედმეტი ვარ... გეცოდებოდეს დედაშენი... უკანასკნელად ვლოცულობ თქვენთვის.

მშვიდობით, ჯიმ!“

ილია რურუა

„ბედნიერების სამკუთხედი“ აღმოაჩინეს

ავსტრალიელმა ფსიქოლოგებმა, მელბურნის უნივერსიტეტიდან, გამოარკვიეს სამი ძირითადი ელემენტი, რომლებიც ადამიანს სრულ ბედნიერებას ანიჭებენ. „ბედნიერების სამკუთხედს“ ქმნის საყვარელი პარტნიორის არსებობა, ფული – 100 ათას დოლარამდე და სოციალური აქტივობა, რომელიც ცხოვრების მიზანს განსაზღვრავს. ისეთი „უმნიშვნელო“ რამ, როგორიც, მაგალითად, ზედმეტი წონაა, ადრე ჩატარებული გამოკვლევების შედეგების მიუხედავად, ბედნიერებას ხელს არ უშლის. სწავლულები ყველა ექიმს ურჩევენ, უფრო მეტად იზრუნონ პაციენტის ბედნიერებაზე მთლიანობაში, ვიდრე მხოლოდ მათ სისხლში ქოლესტერინის დონესა და მაღალ წნევაზე.

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებით, ასეთი რამ გაირკვა: ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა (გარდა მძიმე სენისა), არ შედის „ბედნიერების სამკუთხედში“. ბედნიერების მაჩვენებელი, მაგალითად, სიმსუქნის მეორე და მესამე ხარისხის მქონეთა შორის, შესაძლოა, ცოტათი დაეცეს. ბედნიერების შეგრძნებისთვის არც ისე მნიშვნელოვანია, ასევე, საცხოვრებელი ადგილი, პროფესია, ბავშვების არსებობა ან არარსებობა. ავსტრალიელი სწავლულები იმასაც ადასტურებენ, რომ ასაკთან ერთად, ადამიანების ცხოვრება ნამდვილად უმჯობესდება და ისინი თავს უფრო ბედნიერად გრძნობენ.

ბევრი შაქარი ტვინს ანადგურებს

დიდი რაოდენობით შაქრის მოხმარება ტვინს ანადგურებს – ამის შესახებ ავსტრალიელმა სწავლულებმა განაცხადეს. მათ ექსპერიმენტები ჩაატარეს ლაბორატორიულ მღრღნელებზე, რომლებიც სამ ჯგუფად დაყვეს. პირველი ჯგუფის წევრებს საკვებში დიდი რაოდენობით შაქრის სიროფს უმატებდნენ, მეორეს არ აძლევდნენ შაქარს და მუდმივად სტრესულ სიტუაციაში ამყოფებდნენ, ხოლო მესამე ჯგუფის თაგვები ტკბილსაც იღებდნენ და თან სტრესის ქვეშაც იყვნენ. რამდენიმე კვირის შემდეგ, პირველი და მეორე ჯგუფის ცხოველების ტვინში გარკვეული ცვლილებები დააფიქსირეს, ხოლო მესამე ჯგუფის თაგვებს ცენტრალური ნერვული სისტემის დეგენერაცია დაუდგინდათ, რაც მათ ფიზიოლოგიაზეც აისახა. მკვლევარები ასკვნიან, რომ საკვებში დიდი რაოდენობით შაქრის არსებობა სტრესივით მოქმედებს და სისხლში შესაბამისი ჰორმონების რაოდენობას ზრდის. ამის შედეგად, ხშირდება გულისცემა, ხოლო ტვინს გაძლიერებული რეჟიმით უწევს მუშაობა, რაც საბოლოოდ, ნერვული უჯრედების დაშლას იწვევს.

პანდემიას გამოფენა მიუძღვნეს



კარანტინის შემდეგ, სტოკჰოლმში, ნობელის მუზეუმმა კვლავ გაუღო კარი მნახველებს. აქ დროებითი გამოფენა გაიხსნა თემატური სახელწოდებით – "გადამდებია". ის საშუალებას იძლევა, სხვადასხვა კუთხით შეხედოთ პანდემიის, ვირუსების პრობლემას და მათ გავლენას ადამიანის იმუნურ სისტემაზე. ექსპოზიციაზე წარდგენილია ნობელის პრემიის ლაურეატები და სხვა მეცნიერები, რომლებმაც გააფართოვეს ადამიანების წარმოდგენა ვირუსებზე, ასევე, გამოიკვლიეს იმუნური სისტემა და შეიმუშავეს ვაქცინები. გამოფენაზე წარდგენილნი არიან ეკონომისტი ნობელიანტებიც, რომლებმაც გამოიკვლიეს, რა გავლენას ახდენს ეპიდემიები ფინანსურ სისტემებზე, ასევე, მწერალი ლაურეატები, რომლებიც პანდემიებზე წერდნენ. ვისაც ამ ექსპოზიციაზე მოხვედრა არ შეუძლია, მუზეუმის საიტზე, გამოფენას ონლაინ-რეჟიმში ნახავს.

სმარტფონების გარეშე, ფასდაკლებით ემსახურებიან

ნიუ-იორკის ერთ-ერთმა სასტუმრომ უჩვეულო სპეცტარიფი აამოქმედა, სახელწოდებით – Digital Detox. თუ სასტუმროში გაჩერების მსურველი ამ ტარიფს აარჩევს, თავისი ყველა ელექტრონული მოწყობილობა შესანახად უნდა ჩააბაროს და ყოველ ღამეზე, 10%-იან ფასდაკლებას მიიღებს. წესები ეხება ყველა მოწყობილობას: სმარტფონებს, ნოუთბუქებს, პლანშეტებს.

ამის ნაცვლად, ყოელდღიურად, სასტუმროს სტუმრებს ბეჭდურ პრესას აწვდიან. გარდა ამისა, მათთვის მედიტაციის უფასო სეანსებიცაა გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ მსგავს აქციებს სულ უფრო მეტი დაწესებულება მიმართავს და სმარტფონებსა და ნოუთბუქებზე უარის თქმის სანაცვლოდ, კლიენტებს სხვადასხვა ბონუსებს სთავაზობენ.

„თავაზიანი“ ტუალეტი დადგეს

დიზაინერმა, ამომავალი მზის ქვეყნიდან, კაზუ სატომ, კომპანია Disruption Lab-თან ერთად, ტოკიოში, ახალი საზოგადოებრივი ტუალეტი დადგა. მას Hi Toilet უწოდეს, რაც იმით აიხსნება, რომ საპირფარეშოს მართვა ხმოვანი ბრძანებებითაა შესაძლებელი. სფერული ფორმის შენობა თეთრადაა შეღებილი, შიგნიდან კი აუცილებელი ტექნიკითაა აღჭურვილი, რომელიც ხმით იმართება. მომხმარებელს შეუძლია გასცეს ბრძანება, მაგალითად, „დახურე კარი“ ან „ჩარეცხე უნიტაზი“. კონცეფციის ავტორები აცხადებენ, რომ ამით მას სურდათ, „იაპონური საზოგადოებრივი ტუალეტების დიდებულება“ ეჩვენებინათ. მათ მომხმარებლისა და საპირფარეშოს ზედაპირების კონტაქტი მინიმუმადე დაიყვანეს. იდეა წლების წინ არსებობდა, თუმცა პანდემიამ ქვეყანაში უკონტაქტო ტუალეტების დანერგვა დააჩქარა.

ყოველდღიური ყავა სიკვდილის რისკს ამცირებს

ბრიტანელმა და უნგრელმა სწავლულებმა გამოიკვლიეს, როგორ გავლენას ახდენს ყავის მოხმარება გულსისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეულ სიკვდილიანობაზე. მათ ექსპერიმენტში 468 629 ადამიანი მონაწილებდა, რომელთაც თავიდან არ აღენიშნებიდათ გულსისხლძარღვთა პათოლოგიები. ისინი სამ ჯგუფად დაყვეს: პირველი საერთოდ არ იღებდა ყავას, მეორე ჯგუფი დღეში ნახევარი ფინჯნიდან სამ ფინჯნამდე მოიხმარდა ამ მატონიზირებელ სასმელს, მესამე ჯგუფი კი დღეში სამ ფინჯანზე მეტ ყავას მიირთმევდა.

ექსპერიმენტის მონაწილეებს 11 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ და აფიქსირებდნენ გარდაცვალების ფაქტებს, როგორც სხვა მიზეზით, ასევე, გულსისხლძარღვთა დაავადებებით. აღმოჩნდა, რომ მეორე ჯგუფის წარმომადგენლებში, სიკვდილის რისკი 12%-ით ნაკლები იყო მათთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ სვამდნენ ყავას. მკვლევარებმა ზუსტად არ იციან, როგორ ცვლის ყავა გულის სტრუქტურას, მაგრამ მიაჩნიათ, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც რეგულარულად მოიხმარენ ყავას, უფრო ჯანმრთელი გული აქვთ, ვიდრე მათ, რომლებიც საერთოდ არ ეკარებიან ამ სასმელს.

როდის არის მარილი მავნებელი?

რასაკვირველია, მარილი საჭირო პროდუქტია, ის ჩვენს საკვებს უფრო გემრიელს ხდის, თუმცა ცნობილია, რომ მისი დიდი რაოდენობით მოხმარება საშიშია. ეს იმიტომ, რომ მარილი გავლენას ახდენს გულის, სისხლძარღვებისა და ძვლების მდგომარეობაზე, მაგრამ არც მასზე უარის თქმა შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, ნატრიუმიც ისევე აუცილებელია ორგანიზმისთვის, როგორც სხვა მიკროელემენტები. ის ფიზიოლოგიური სითხეების ბალანსის შენარჩუნებაში გვეხმარება, ასევე, ხელს უწყობს კუნთებისა და ნერვების მუშაობას. უბრალოდ, არ უნდა მივეძალოთ ზოგიერთ საკვებს, რომელშიც დიდი რაოდენობითაა ნატრიუმი, მაგალითად, გაყინულ სალათებს.

მართალია, გაყინული სალათებისგან საკვების მომზადება ძალიან ადვილია და თანაც სასარგებლო ვიტამინებსა და მინერალებსაც ინარჩუნებენ, მაგრამ მათში ჭარბი რაოდენობითაა ნატრიუმი. იგივე ითქმის ბოსტნეულის კონსერვებზეც, მაგალითად, დაკონსერვებულ სიმინდსა და ბოსტნეულის, კერძოდ, ტომატის წვენზეც, რომელიც მაღაზიებში იყიდება. სჯობს, წვენები სახლის პირობებში, თავადვე მოამზადოთ. გავრცელებული სოუსებიდან, ყველაზე დიდი რაოდენობით ნატრიუმი სოიოს სოუსშია, ამიტომ მასთან ფრთხილად იყავით. რაც მთავარია, თავი აარიდეთ ჩიფსებს, „სუხარიკებს“, მარილიან არაქისს – რაც ყველას ასე ძალიან უყვარს, მაგრამ ორგანიზმს ჭარბი რაოდენობით აწვდიან ნატრიუმს.

„სელფის“ გადაღებამ იმსხვერპლა

მექსიკის ქალაქ ჩინიპასში, „სელფის“ გადაღების მცდელობისას, ორი გოგონა დაიღუპა – გოგონებს თვითმფრინავი დაეჯახა. ისინი ქალაქში, ცხენების დღის სანახავად ჩავიდნენ, რომელიც ადგილობრივი აეროპორტის მიმდებარედ იმართებოდა. დღის დასრულების შემდეგ, გოგონები ასაფრენ ბილიკზე იმიტომ გავიდნენ, რომ „სელფი“ გადაეღოთ. როგორც ვარაუდობენ, ხმაურიანი გარემოს გამო, მათ ვერ გაიგეს მსუბუქმოტორიანი პატარა თვითმფრინავის დაშვება. თვითმფრინავის ფრთა ორივე გოგონას თავში მოხვდა. როგორც პილოტი აცხადებს, მან კი დაინახა ადამიანები ბილიკზე, მაგრამ შეჯახების აცილების ალბათობა საერთოდ არ არსებობდა.

ნიანგის სუპისთვის ციხე ელით

ინდონეზიაში, ჩინელ მუშებს ხუთ წლამდე პატიმრობა იმიტომ ელით, რომ ნიანგისგან სუპი მოამზადეს. კუნძულ სულავესზე, მიგრანტებმა ადგილობრივებს დაჭერილი რეპტილია სთხოვეს, მისგან სუპი მოამზადეს და მიირთვეს. ნიანგის დაკვლამდე, მუშებმა მასთან ფოტოები გადაიღეს და სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს, რითაც ადგილობრივი ბუნების დაცვის სააგენტოს ყურადღება მიიპყრეს. ცხოველთა დამცველები იმ ქარხანაში მივიდნენ, სადაც მიგრანტები მუშაობდნენ, რათა რეპტილია გადაერჩინათ, თუმცა უკვე გვიანი იყო – მათ მხოლოდ სუპის ნარჩენებს მიუსწრეს. ჩინელი მუშების განცხადებით, მათ არ იცოდნენ, რომ ინდონეზიაში ნიანგებს კანონი იცავთ, მაგრამ ამის მიუხედავად, შესაძლოა, ისინი ხუთი წლით გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ.

ვინ არის „დამნაშავე“ კუჭის კიბოში?

2005 წელს, ავსტრალიელ ექიმებს – ბარი მარშალსა და რობინ უორენს ნობელის პრემია გადაეცათ აღმოჩენისთვის, რაც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ბაქტერია Helicobacter pylori-ის როლი ისეთი დაავადებების განვითარებაში, როგორებიცაა გასტრიტი, ასევე, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული. ამ აღმოჩენით მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ გასტრიტისა და წყლულოვანი დაავადებების განკურნება იმავე ბაქტერიის განადგურებით შეიძლება, რომელიც კუჭსა და ნაწლავებში ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესების ინფექციური აღმგზნებია. აღსანიშნავია, რომ დღეისთვის, პლანეტის მოსახლეობის ორი მესამედი, სწორედ ამ „ნობელიანტი“ ბაქტერიის მატარებელია. ლიდერის პოზიციები კი აფრიკის ქვეყნებს უჭირავთ.

დაავადების მთავარი მიზეზი პირადი ჰიგიენის წესების დაუცველობა, გაურეცხავი პროდუქტებისა და უსუფთაო წყლის მოხმარებაა. მიუხედავად ამისა, ადამიანების უმრავლესობა დაავადების ნიშნებს ვერ ამჩნევს, რადგან დიდი ხნის განმავლობაში, ბაქტერია თავს არ ავლენს იმის გამო, რომ საკმაოდ სუსტი მიკროორგანიზმია. დაავადების განვითარება შესაბამის ფაქტორებთან ერთად იწყება. ეს არის კვების არასწორი რეჟიმი და რაციონი, ასევე, მავნე ჩვევები, სტრესული სიტუაციები და სხვა. აშშ-სა და ევროპაში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, პრაქტიკულად ყველა ავადმყოფი, რომელსაც კუჭისა და თორმეტგოჯას წყლული ჰქონდა, ბაქტერია Helicobacter pylori-თი იყვნენ დაინფიცირებულნი. ჯანმრთელ ადამიანებში კი ეს ბაქტერია სამჯერ ნაკლებად ხვდება. გარდა ამისა, ხნის განმავლობაში, ამ ბაქტერიის კუჭში არსებობამ, შესაძლოა, გამოუსწორებელი ცვლილებები გამოიწვიოს, რასაც ატროფიულ გასტრიტამდე და კუჭის კიბომდე მივყავართ.

კბილების დაკარგვა სიცოცხლეს გვიმოკლებს

დაცვენილი კბილების რაოდენობის მიხედვით, შესაძლებელია იმის გაგება, რამდენი წლის სიცოცხლე დარჩა ადამიანს – ამ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მკვლევარები, Oral Health Foundation-დან. მათ განსაზღვრეს, რომ დაცვენილი კბილების რაოდენობა იმის ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს, თუ როგორ ექცევა ადამიანი საკუთარ ჯანმრთელობას. ექსპერტების დაკვირვებების თანახმად, ადამიანები, რომლებმაც 70 წლის ასაკში ყველა კბილი შეინარჩუნეს, ხშირად, 100 წლამდე და მეტხანსაც ცოცხლობენ. ამასთან, 65 წლის ასაკისთვის, 5 და მეტი კბილის დამკარგავ ადამიანს საკმაოდ ხშირად აწუხებს გულსისხლძარღვთა დაავადებები, ასევე, დიაბეტი, ოსტეოპოროზი და რამდენიმე წლით ნაკლებსაც ცოცხლობენ.

სწავლულები კბილების დაცვენის მთავარ მიზეზად ასახელებენ ტრავმებს, თამბაქოს მოწევას, პირის ღრუს ცუდ ჰიგიენასა და ღრძილების დაავადებებს. მთლიანობაში, კბილების დაკარგვა და რაც მთავარია, ამ პრობლემის მოგვარებაზე უარის თქმა, თითქმის ყოველთვის მიუთითებს ადამიანის ცხოვრების დაბალ ხარისხსა და ჯანმრთელობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე.

სასტუმრო კლაუსტროფობებისთვის

მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის ჩრდილოეთით, ბრეტანში, გერმანელი სამხედროების მიერ აშენებული ბუნკერი შეარემონტეს და მიწისქვეშა სასტუმროდ აქციეს. ენთუზიასტმა სერჟ კოლიუმ, 1940 წელს აშენებული ბუნკერის გარშემო მდებარე მიწის ნაკვეთი შეიძინა, მერე კი წელიწადნახევარი, ქვიშისგან მის გასუფთავებასა და გარემონტებას მოანდომა. შედეგად, მშვენიერი სასტუმრო სახლი გამოუვიდა, რომელსაც ერთდროულად, 20 ადამიანი მიღება შეუძლია. მიწისქვეშა ოტელში, სერჟმა ეპოქის ატმოსფერო შეინარჩუნა, როსთვისაც ინტერიერი იმ დროის ატრიბუტიკით შეავსო. ბუნკერ-სასტუმროში ღამის გათევა ექვს მოგზაურს 375 დოლარი დაუჯდება.

ჰობიტის ცხოვრება არჩია

37 წლის იტალიელმა კონდიტერმა, ნიკოლა ჯენტილემ გადაწყვიტა, ჰობიტივით – ჯონ ტოლკინის ცნობილი გმირის მსგავსად იცხოვროს. მამაკაცმა მიწის ნაკვეთი იყიდა სოფელში და იქ მეუღლესთან ერთად, ფილმში აღწერილი სოფელ შირის საკუთარ ვერსიას ქმნის. ჯენტილე არა მხოლოდ იცვამს „ფენტეზის“ პერსონაჟივით, არამედ ცხოვრობს კიდეც სახლში, რომელსაც მრგვალი კარი და ფანჯრები აქვს – ზუსტად ისე, როგორც ახალ ზელანდიაში, „ბეჭდების მბრძანებლის“ გადაღებებისთვის აშენებულ ქოხებს აქვთ.

„გარკვეული პერიოდის წინ მივხვდი, რომ წიგნები და ფილმები აღარ არის საკმარისი, რათა „ფენტეზის“ ჟანრის მიმართ, ჩემი მისწრაფება დააკმაყოფილდეს“, – ამბობს იტალიელი.

ის აპირებს, საკუთარი ნაკვეთი ჰობიტების სოფლად აქციოს, თანაც აქაურების ცხოვრებაც დიდად არ განსხვავდება წიგნის გმირების ცხოვრებისგან: სოფლის მცხოვრებლებიც ახლოს არიან ბუნებასთან, უყვართ ფესტივალებისა და ცეკვის საღამოების მოწყობა და თითქმის ჰობიტებივით იცვამენ. საავტორო უფლებების დაცვის გამო, ნიკოლა საკუთარ სოფელს შირს ვერ დაარქმევს, ამიტომ მას Contea Gentile ერქმევა.

სხვა სახლების ასაშენებლად, ფულს მოაგროვებენ და მზის ენერგიას გამოიყენებენ, რადგან აქ ცხოვრებისთვის მთავარი პირობა ეკოლოგიაზე ზრუნვა იქნება. ჯენტილეს პროექტს „ბეჭდების მბრძანებლის“ მსახიობებმა დაუჭირეს მხარი და საკუთარ თაყვანისმცემლებს მოუწოდებენ, დაეხმარონ იტალიელს, განახორციელოს გეგმა. თავად კი მზად არიან, ჰობიტების სოფელში სტუმრად ჩავიდნენ.

„შნობელები“ დაარიგეს

ჰარვარდის უნივერსიტეტში „შნობელის“ პრემიის (ნობელის პაროდიული ანალოგის) გადაცემის 31-ე ცერემონია შედგა, ოღონდ ამჯერად, ონლაინ-ფორმატში. პრემია 10 ნომინაციაში გაიცა – ლაურეატებმა ჯილდოდ ქაღალდის ფურცლები და ყალბი 10 ტრილიონი ზიმბამბვური დოლარის ბანკნოტი მიიღეს. დაჯილდოებულთა შორის არიან: ბიოლოგიაში – შვედი სიუზანა შიოტცი, კატის ენის ანალიზისთვის; ქიმიაში – სწავლულთა საერთაშორისო ჯგუფი, რომლებმაც კინოთეატრების ჰაერის ქიმიური ანალიზი ჩაატარეს; ეკონომიკაში – ამ სფეროში, „შნობელი“ ფრანგ პროფესორ ბლავატსკის გადასცეს, რომელმაც აღმოაჩინა, რომ პოლიტიკოსების სიმსუქნე, ქვეყანაში კორუფციის კარგი ინდიკატორია; ტრანსპორტირების საკითხში მკვლევართა ჯგუფი დააჯილდოვეს, რომლებაც ექსპერიმენტი ჩაატარეს, იქნება თუ არა უსაფრთხო მარტორქის თავდაყირა გადაყვანა; ეკოლოგიაში – ესპანელი და ირანელი სწავლულების ჯგუფი შეარჩიეს, რადგან მათ გენეტიკური ანალიზი ბაქტერიების სხვადასხვა სახეობის გამოსავლენად გამოიყენეს, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში, ტროტუარზე დაგდებულ საღეჭ რეზინებზე ცხოვრობენ; მედიცინის დარგში „შნობელი“ დაიმსახურეს გერმანელმა, თურქმა და ბრიტანელმა მეცნიერებმა – მათ დაადგინეს, რომ ორგაზმი ისეთივე ეფექტური შეიძლება იყოს სუნთქვის გაადვილებლად, როგორც შეშუპების საწინააღმდეგო პრეპარატები; მშვიდობის დარგში „შნობელის“ პრემიის მფლობელები გახდნენ ამერიკელი სწავლულები, რომლებმაც შეამოწმეს ჰიპოთეზა, რომ თურმე, მამაკაცებმა წვერი იმიტომ მოუშვეს, რათა სახეში ხელის გარტყმისგან დაეცვათ თავი.

„შნობელის“ პრემია 1991 წელს, იუმორისტულმა ჟურნალმა – Annals of Improbable Research დააარსა. პრემია გადაეცემათ სწავლულებს უჩვეულო, სასაცილო და მახვილგონივრული კვლევებისთვის.

შოკოლადი აფროდიზიაკის თვისებებით

შოკოლადის შვეიცარიელმა მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ განსაკუთრებული, ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ტკბილეული უკვე შექნეს. ეს მეთოდი საშუალებას მისცემს შოკოლადის მწარმოებლებს, მასში იმ განსაკუთრებული ნივთიერებების შემცველობა გაზარდონ, რაც ადამიანის ორგანიზმს სარგებელს მოუტანს. ეს ნივთიერებები პოზიტიურად მოქმედებენ სისხლის მიმოქცევაზე. კომპანია Barry Callebut-მა, რომელიც ჩაუშვებს წარმოებაში ამ ორიგინალურ შოკოლადს, ჩატარებულ სამუშაოებზე დადებითი პასუხი ოფიციალურად მიიღო ევროპის კვების პროდუქტების უსაფრთხოების სააგენტოსგან. ადრეულ კვლევებში, რომელიც ამ კომპანიის სპეციალისტებმა ჩაატარეს, ფლავანოლების ზემოქმედებას სწავლობდნენ სხვადსხვა ქსოვილის სისხლით მომარაგებაზე.

ფლავანოლები – ფლავანოიდების ერთ-ერთი სახეობაა, მას აშკარად გამოხატული ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს და ამიტომ, სასიკეთოდ მოქმედებს სისხლძარღვებზე. თუმცა შოკოლადის დამზადებისას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, არსებითად მცირდება ფლავანოლების რაოდენობა შავ შოკოლადში., რძიანში კი საერთოდ აღარ არსებობს. ამჯერად, კომპანიის სპეციალისტებმა პრინციპულად ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელიც შოკოლადის დამზადებისას, მასში სასარგებლო ნივთიერებების 80%-ით შენარჩუნების საშუალებას იძლევა, მაგრამ პროდუქტის გემო უცვლელი რჩება. დღეს უკვე საუბრობენ იმაზეც, რომ ასეთ შოკოლადს, ფლავანოლების დიდი შემცველობით, აფროდიზიაკის თვისებები ექნება. ზოგიერთ მედია-საშუალებებში, შოკოლადს პოტენციის ასამაღლებელ პრეპარატებსაც კი ადარებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი საქართველოში ნატოს ხუთ ხომალდს მასპინძლობს

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს ხომალდები შემოვიდნენ. ნატოს მუდმივმოქმედ მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთს (SNMCMG2), შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი მასპინძლობს. შენაერთის შემადგენლობაშია: ესპანეთის (ფლაგმანი), იტალიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები. შენაერთს პირველი რანგის კაპიტანი, ხავიერ ნანეზ დე პრადო მეთაურობს.

ბათუმის პორტში ნატოს ხომალდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი, რამაზ პაპიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძე, პოლონეთის ელჩი საქართველოში, მარიუშ მაშკიევიჩი და ნატოს სამხედრო მეკავშირე ოფიცერი, პოლკოვნიკი რუშენ აბიდინოღლუ დახვდნენ.

ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის (SNMCMG2) ვიზიტი ნათლად ადასტურებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხარდაჭერას საქართველოს ნატოში გაწევრიანების კურსისადმი. საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა ნატოსთან აძლიერებს შავი ზღვის უსაფრთხოებას და ხელს უწყობს სტაბილურობას რეგიონში.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტისა და ნატოს საზღვაო შენაერთის ხომალდების მონაწილეობით, შავ ზღვაში ერთობლივი წვრთნები გაიმართება. სწავლება მიზნად ისახავს საქართველოსა და ნატოს საზღვაო ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებას და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. ასევე, დაგეგმილია სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ჯგუფების ნატოს სერტიფიცირების მეორე დონის შეფასების მეორე საფეხურის – NEL-2 გავლა, რაც შეფასების ოთხწლიანი პროცესის ბოლო ფაზას წარმოადგენს.

ნატოს საზღვაო შენაერთის ვიზიტები საქართველოს პორტებში რეგულარულ ხასიათს ატარებს და, შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგია. 2021 წელს, ნატოს ხომალდები საქართველოს უკვე მეორედ სტუმრობენ.

ალექსანდრე დარახველიძემ UNICEF-ის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ მონაწილეობა მიიღო გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ორგანიზებით გამართულ ორდღიან საერთაშორისო კონფერენციაში – „ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში“.

კონფერენციის მიზანი იყო ბავშვის უფლებების შესახებ სწავლებისა და სწავლისთვის შესაბამისი სივრცის უზრუნველყოფა და მომავალი სპეციალისტებისთვის აღნიშნული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობის მიცემა.

მინისტრის მოადგილემ კონფერენციის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გამჭვირვალედ და კანონთან სრული შესაბამისობით წარმოების მიზნით, უწყების მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. კერძოდ, აკადემიის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხების სწავლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, გამოძიების მონიტორინგის გზით, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიმართულებით.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის მოადგილემ, თემურ მაღრაძემ, კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით აკადემიაში არსებულ სახელმძღვანელოზე, სასწავლო პროგრამებსა და დაგეგმილ აქტივობებზე.

კონფერენციაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობდნენ პროფესორები და სტუდენტები, მთავრობისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, გაეროს სააგენტოებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, მასწავლებლები და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.